ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## თემურ მღებრიშვილი: „ზურაბ ბიბილეიშვილი, რომელიც შოვში დაკარგულების სიაში იყო, დღეს არის ჯანმრთელად და ამჟამად სტიქიის ზონაში არ იმყოფება“

გვ.2



ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 2023 №155 (9191) ფასი: 80 თეთრი

# „ხელისუფლების ინტერესშია, შოვის ტრაგედიის მიზეზები გამოიძიოს“

გვ.2





ლელა ჯეჯელავა: „რიკოთის მშენებლობას ახორციელებს ჩინური კომპანია, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე რეპუტაციაშელახული, მთელ რიგ ქვეყნებში გამოცხადებულია დანაშაულებრივ კომპანიად“



გურამ ვახტანგაშვილი: „რუსეთს ჯარი ცხინვალიდან და აფხაზეთიდან ახლა ისედაც გაყვანილი ჰყავს. მხოლოდ იმდენი ჰყავთ, საოკუპაციო ხაზთან რომ გამოჩნდნენ“

## „რუსეთთან არაფორმალური მოლაპარაკება მიმდინარეობს. რუსის ჯარის გასვლა პირველ საკითხად რატომ არ ისმება?!“

გვ.3



## ირაკლი ღარიბაშვილი: „აგვისტოს ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო“

„ძალიან დიდი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ყოფილმა მთავარსარდალმა იმ ფონზე, როცა ჩვენმა გმირმა სამხედროებმა უდიდესი გმირობა, თავგანწირვა აჩვენეს“

გვ.2



ვინ მიიჩნევს თავს ოკუპირებულად რუსეთის ფედერაციაში?

გვ.4

## რუსეთს თავისი ძალების საქართველოდან გაყვანისკენ ოფიციალურმა თბილისმაც მოუწოდა

## სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთი არის აგრესორი და ოკუპანტი“!



გვ.3

## მიხეილ სააკაშვილი: „ჩემთვის, როგორც მთავარსარდლისთვის, ორმაგად მტკივნეული იყო იმის ყურება, როგორ ნადგურდებოდა თანამედროვე საქართველო“

5 იზრდება ტყის ხანძრების რისკი — საგანგებო სამსახური მოსახლეობას აფრთხილებს

5 „სწორი ინსტრუქციის შემთხვევაში, მოსახლეობას უსაფრთხო ადგილზე გადასვლა 4 წუთში შეეძლო“

5 დაკავებულია ნათია ბახტაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი

6 უთანხმოება რუსეთ-ჩინეთს შორის

1993230720223

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ხელისუფლების ინტერესშია, შოვის ტრაგედიის მიზეზები გამოიძიოს“

## ლელა ჯეჯელავა: „რიკოთის მშენებლობას ახორციელებს ჩინური კომპანია, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე რეპუტაციაშელახული, მთელ რიგ ქვეყნებში გამოცხადებულია დანაშაულებრივ კომპანიად“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

***– ქალბატონო ლელა, უმძიმეს დღეებს გადის დღეს ჩვენი ქვეყანა. ძალიან მძიმეა ამ ყველაფრის ატანა, ყურება და მოსმენა. უკვე ერთმანეთში ირევა ტყუილ-მართალი, ამდენი ურთიერთბრალდება. რა ხდება რეალურად? და ვთანხმდებით თუ არა იმაზე, რომ ასეთ სიტუაციაში პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას?***

– ამ ტრაგედიას ემატება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, ის რომ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არ არსებობს ნდობის არანაირი ფაქტორი. გარდა უნდობლობისა, ჩვენ მთელი ამდენი წელია ვცხოვრობთ რუსული საინფორმაციო ომის პირობებში, რომელიც ავრცელებს ძალიან დიდ სიბინძურეს და ჭუჭყს, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იწოვს. ახლა, ამ ტრაგედიის ფონზე რაც ხდება, სოციალურ ქსელებს რომ გადავავლოთ თვალი, ეს კიდევ მეორე ტიპის ტრაგედიაა.

***– მკვეთრად დაპირისპირებული ორი მხარე და ბრალდებების კორიანტელი. დაუნდობელი ვირტუალური ბრძოლა.***

– დიახ, გეთანხმებით. ამიტომ ეს ყველაფერი პოლიტიკური მდგენელის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ვამბობ ხაზგასმით, სწორედ ეს არის მშვიდობიანობის პერიოდში არსებული ომი. კიდევ კარგი ,არსებობს ეს ფეისბუქსივრცე, რომელიც ამხელა ურთიერთდაპირისპირებას აკავებს და რეალობაში ეს არ გადმოდის.

***– ორთქლის გამოშვების ფუნქცია აქვს სოციალურ ქსელებს, თორემ სამოქალაქო ომს მივიღებდით.***

– რასაკვირველია. ამას რომ არ აკავებდეს მეტა სივრცე და ეს ყველაფერი ვირტუალურ განზომილებაში რომ არ ხდებოდეს, ჩვენ ახლა გვექნებოდა დაუძინებელი სამოქალაქო ომი ქვეყანაში. ამაში ხელისუფლების პასუხისმგებლობა არის უზარმაზარი. ის თავად არის დაინტერესებული, რომ ამ ტიპის დაპირისპირება არსებობდეს საზოგადოებაში. ეს არავის ინტერესებში არ შედის, გარდა იმ ქვეყნისა, რომელიც ახლა საქართველოს იფორმებს. ეს არის მხოლოდ რუსეთი და ამიტომ ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს ამას ხელს უწყობს, შემთხვევით არ არის ეჭვმიტანილი იმაში, რომ ის არის კოლაბორაციონისტული რეჟიმი! ეს კარგად უნდა ესმოდეს ხელისუფლებას.

**„ყველამ ვიფიქროთ ჩვენ წილ პასუხისმგებლობაზე, რა შეგვეძლო და რა არ გავაკეთეთ. ჩვენ ვაძლევთ ხელისუფლებას იმის უფლებას, რომ განცხრომით იცხოვროს ჩვენი სიცოცხლის, ჩვენი ნერვების და ჩვენი ფულის ხარჯზე. ეს თუ არ გავიაზრეთ, არაფერი გვეშველება!“**

არსებობს ძალიან ბანალური ჭეშმარიტება, რომ ცხოვრება ბუმერანგია. ამ ხელისუფლებამ უამრავი სიბინძურე დააბრალა წინა ხელისუფლებას და ახლა ამ შედეგს უკვე იმკის თვითონაც.

***– ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე ბევრს საუბრობენ, შესაძლებელი იყო თუ არა უფრო სწრაფი რეაგირება? და ასეთ შემთხვევაში იქნებოდა თუ არა გაცილებით ნაკლები მსხვერპლი?***

– დღეს ჩვენ ვისმენთ უამრავ მოსაზრებას, უამრავ ვერსიას როგორც სახელისუფლო ექსპერტებისგან, ისე მათგან დამოუკიდებელი ექსპერტებისგან, რომელიც ერთმანეთისგან არის რადიკალურად განსხვავებული.

***– აქაც მოახერხეს და პროფესიონალებიც ნაცებად და ქოცებად არის დაყოფილი.***

– სამწუხაროდ, ასეა. ექსპერტების გარკვეული ნაწილი, მათ შორის ჩინოვნიკები, რომლებიც უშუალოდ მიბმულები არიან ხელისუფლებასთან, ზუსტად ერთი ერთში იმეორებენ იმ ვერსიას, რომელიც გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს დასკვნამდე, ხელისუფლების წევრებისგან შევიტყვეთ. ეს ყველაფერი ძალიან დიდ ეჭვს ბადებს და მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება არის უუნარო და არაპროფესიონალი. წინასწარი განცხადებებისგან ხომ მაინც უნდა შეეკავებინათ თავი?! ასევე წინასწარი ვერსიების გაჟღერებისგან, რომელსაც მერე თავისივე ექსპერტები დაადასტურებდნენ. სწორედ ამიტომ, საზოგადოებაში არის ძალიან დიდი უნდობლობა.

არსებობს გარკვეული შესაძლებლობები იმისთვის, რომ ეს უნდობლობა გავფანტოთ და დადგინდეს რაღაც ელემენტარული ჭეშმარიტება. ამას კი სჭირდება გამოძიება. გამოძიება ოღონდ არა ხელისუფლების მხრიდან, რომლის არც ერთ უწყებას საზოგადოების მხრიდან ნდობა არა აქვს. ეს უნდა იყოს დამოუკიდებელი, ნდობით აღჭურვილი ექსპერტებისგან ჩატარებული გამოძიება, ასევე მოვიწვიოთ საერთაშორისო ექსპერტებიც.

***– ქალბატონო ლელა, ვერ გაექცევა ხომ ხელისუფლება ამ პასუხისმგებლობას?***

– გამორიცხულია! არ არსებობს არც ერთი გზავნილი, რომელსაც ის ახლა საზოგადოებას გაუგზავნის, სადაც პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობა იქნება და საზოგადოება ამას მიიღებს. ეს არის გამორიცხული! ამიტომ ხელისუფლებისვე ინტერესებში შედის, რომ დადგინდეს ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით რეალური ვითარება.

***– ახლა საუბრობენ, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოსგან იყო გაფრთხილება, რომ მოსალოდნელია ღვარცოფი.***

– ჩვენ დადასტურებით ამის თქმაც კი არ შეგვიძლია, იყო თუ არა გაფრთხილება. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო, რომელსაც დილით მესიჯები აქვს დაგზავნილი ყველა უწყებისთვის და მერე ხელს აწერს დასკვნას, რომ ამ სტიქიის აცილება შეუძლებელი იყოო, ხომ თავის თავს ეწინააღმდეგება?! ინტერნეტის ეპოქაში, ინფორმაციის დამალვას და პროპაგანდას აზრი არა აქვს.

ჩვენ ვნახეთ წინა წლებში ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებები, რომელიც სრულ წინააღმდეგობაში მოდის მათ დღევანდელ განცხადებებთან. ჩვენ დადასტურებული ფაქტები გვაქვს იმისა, რომ ხელისუფლება, რომელიც თავის წინა განცხადებებს ეწინააღმდეგება, რაღაცას გვიმალავს. ამას ვერავინ ვერ გაექცევა. არიან უვიცები, არაკომპეტენტურები და ყოველ ნაბიჯზე ატყუებენ საზოგადოებას. საერთოდ, რაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ თვალწინ არ არის რიკოთის ულელტეხილი?! რაც იქ ხდება? რა, არ ვიცით, რა რისკები გვემუქრება რიკოთისგან?! ღმერთმა დაიფაროს, და ეს რომ მოხდეს, მერეც ხომ შეეცდება ეს ხელისუფლება თავის გამართლებას.

***– ბევრი საუბრობს უკვე ამაზე, რომ გაცილებით დიდი მასშტაბის საფრთხეა მოსალოდნელი რიკოთზე. არის შესაძლებელი, რამე შეიცვალოს რიკოთზე?***

– მე არ ვიცი, რიკოთზე რაღა შეიცვლება. ამაში კი მარტო ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ იქნება, იქნება მთელი ჩვენი საზოგადოების და პოლიტიკური სპექტრის პასუხისმგებლობა. ყველამ კარგად ვიცით, რიკოთის მშენებლობას ახორციელებს ჩინური კომპანია, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე რეპუტაციაშელახული, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში გამოცხადებულია დანაშაულებრივ კომპანიად. აქვს ძალიან ბევრი ჩავარდნილი პროექტები და გარდა ამისა, ვიცით, რომ მოქმედებს კორუფციული სქემა. შეჭმულია ძალიან დიდი თანხები. ამას რა ეშველება, არ ვიცი.

მე არ ვიცი, რა აგვარიდებს ამ რისკებს. ჩვენ კი, სანამ ტრაგედია არ დაგვატყდება თავს, მანამდე არ ვრეაგირებთ ადეკვატურად მოვლენებზე. ამიტომ ამას მივყავართ იმ შედეგამდე, რა შედეგებიც დაგვიდგა დღეს შოვში! საზოგადოებამ ტრაგედიამდე უნდა შემოკრას განგაშის ზარი და ხელისუფლება მუდმივად პრესინგის მდგომარეობაში უნდა ამყოფოს. პასუხისმგებლობა ხელისუფლების ხომ არის, მაგრამ მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობაცაა. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ხელისუფლებას ვაძლევთ იმის ფუფუნებას, რომ მოიქცეს ისე, როგორც იქცევა.

ყველამ ვიფიქროთ ჩვენ წილ პასუხისმგებლობაზე, რა შეგვეძლო და რა არ გავაკეთეთ. ჩვენ ვაძლევთ ხელისუფლებას იმის უფლებას, რომ განცხრომით იცხოვროს ჩვენი სიცოცხლის, ჩვენი ნერვების და ჩვენი ფულის ხარჯზე. ეს თუ არ გავიაზრეთ, არაფერი გვეშველება!



# ირაკლი ღარიბაშვილი: „აგვისტოს ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო“

## „ძალიან დიდი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ყოფილმა მთავარსარდალმა იმ ფონზე, როცა ჩვენმა გმირმა სამხედროებმა უდიდესი გმირობა, თავგანწირვა აჩვენეს“

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2008 წლის აგვისტოს ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ძალიან დიდი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ყოფილმა მთავარსარდალმა, მიხეილ სააკაშვილმა იმ ფონზე, „როცა ჩვენმა გმირმა სამხედროებმა უდიდესი გმირობა, თავგანწირვა აჩვენეს“.

– მინდა პირველ რიგში ჩემი სამძიმარი გამოვუცხადო ჩვენს დაღუპულ გმირებს, მათ ოჯახებს, ქედს ვიხრი ჩვენი გმირების ნათელი ხსოვნის წინაშე. მათ ოჯახებს კიდევ ერთხელ მინდა გამოვუცხადო ჩვენი ღრმა სამძიმარი. ჩვენი გმირები გმირულად შეეწირნენ ამ ომს. ეს იყო საშინელი ტრაგედია, რომელიც ჩვენს ქვეყანას და ხალხს თავს დაატყდა. ეს იყო უმძიმესი განსაცდელი, რამაც 400-ზე მეტი ჩვენი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა, 2 ათასზე მეტი დაიჭრა და ამ ომით ძალიან მძიმე შედეგები მივიღეთ.

150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი იქნა ოკუპირებული, დამატებით რამდენიმე სოფელი, კოდორის ხეობა დავკარგეთ. ამ ომმა მოიტანა უკანონო ოკუპაცია და ასევე, ჩვენი ძირძველი ტერიტორიების დროებით ოკუპაცია, ე.წ. აღიარება, რამაც ძალიან მძიმე შედეგები მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ამ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. ვიცი ინფორმაცია, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები. მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ძალიან დიდი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ყოფილმა მთავარსარდალმა იმ ფონზე, როცა ჩვენმა გმირმა სამხედროებმა უდიდესი გმირობა, თავგანწირვა აჩვენეს. გმირობის უამრავი მაგალითი დაუტოვეს ჩვენს ხალხს და მომავალ თაობას. მაშინ ჩვენ ვნახეთ ყველაზე სამარცხვინოდ მოქცეული ყოფილი მთავარსარდალი. გახსოვთ გაქცეული, თვითმფრინავის ხმის გამო წაქცეული, მიწაზე გართხმული. ძალიან დიდი სირცხვილი ნახა მთელმა საზოგადოებამ და არა მხოლოდ ჩვენ, მთელმა მსოფლიომ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, იმჟამინდელ ხელისუფლებას არ ანაღვლებდა დაღუპული გმირები და ის, რომ ტერიტორიები იბომბებოდა.

– ჩვენ ვნახეთ ყველაზე სამარცხვინოდ მოქცეული ყოფილი მთავარსარდალი, გახსოვთ, ჰალსტუხის ღეჭვა, გაქცეული თვითმფრინავის ხმის გამო, წაქცეული, მიწაზე გართხმული, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, მათ არ ადარდებდათ, არ ანაღვლებდათ ჩვენი დაღუპული გმირები, ის, რომ ტერიტორიები იბომბებოდა, რომ ვკარგავდით, რომ ხდებოდა ოკუპაცია.

– იმ ფონზე, როდესაც ჩვენმა გმირმა სამხედროებმა აჩვენეს უდიდესი გმირობა, თავგანწირვა, უამრავი გმირობის მაგალითი დაუტოვეს ჩვენს ხალხს და ჩვენს მომავალ თაობას, მაშინ ჩვენ ვნახეთ ყველაზე სამარცხვინოდ მოქცეული ყოფილი მთავარსარდალი, გახსოვთ, ჰალსტუხის ღეჭვა, გაქცეული თვითმფრინავის ხმის გამო, წაქცეული, მიწაზე გართხმული და ძალიან დიდი სირცხვილი ჭამა, რომ იტყვიან და ნახა მთელმა საზოგადოებამ და არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთელმა მსოფლიომ ნახა, საუბედუროდ.

ასევე თქვენ გახსოვთ, რომ 9 აგვისტოს, მაშინ, როდესაც იბომბებოდა ჩვენი ქალაქები და ჩვენი გმირები იხოცებოდნენ ბრძოლის ველზე გმირულად, გახსოვთ მაშინდელი უშიშროების საბჭოს სხდომის ჩანაწერები, არსებობს ამის თაობაზე, თუ როგორ იქცეოდნენ ეს ადამიანები. საერთოდ მათ არ ადარდებდათ, არ ანაღვლებდათ ეს ჩვენი დაღუპული გმირები, ის, რომ ტერიტორიები იბომბებოდა, რომ ვკარგავდით, რომ ხდებოდა ოკუპაცია, – განაცხადა პრემიერმა.

# თემურ მღებრიშვილი: „ზურაბ ბიბილეიშვილი, რომელიც შოვში დაკარგულების სიაში იყო, დღეს არის ჯანმრთელად და ამჟამად სტიქიის ზონაში არ იმყოფება“



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის, თემურ მღებრიშვილის განცხადებით, ზურაბ ბიბილეიშვილი, რომელიც შოვში, სტიქიის დროს დაკარგულად ითვლებოდა, კონტაქტზე გამოვიდა.

ამის შესახებ მან მედიასთან განაცხადა.

– ამდენი ნეგატივის შემდეგ, ერთი იმედის მომცემი და კარგი ინფორმაცია შემიძლია გითხრათ. იყო დაფიქსირებული ცხელ ხაზზე და 112-შიც, ზურაბ ბიბილეიშვილი, რომელიც დაკარგულების სიაში იყო, ოპერატიული-საგამოძიებო შედეგებით დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნება დღეს არის ჯანმრთელად, ცოცხალია და ამჟამად სტიქიის ზონაში არ იმყოფება, – განაცხადა მღებრიშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „რუსეთთან არაფორმალური მოლაპარაკება მიმდინარეობს, რუსის ჯარის გასვლა პირველ საკითხად რატომ არ ისმება?!“

## გურამ ვახტანგაშვილი: „რუსეთს ჯარი ცხინვალიდან და აფხაზეთიდან ახლა ისედაც გაყვანილი ჰყავს. მხოლოდ იმდენი ჰყავთ, საოკუპაციო ხაზთან რომ გამოჩნდნენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

***– ბატონო ვახტანგ, 2006 წლის აგვისტოს ომიდან 15 წელი გავიდა. ამ ომის გარემოებებზე არაერთხელ გვისაუბრია. დღეს თქვენი შეფასება როგორია? ამ ომის მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ 2008 წელს საქართველო გადაარჩინა. ჩვენი მტკიცე პოზიციით, სუვერენიტეტი დავიცავითო. თქვენი შეფასებით, 2008 წლის ომმა რა შედეგები მოგვიტანა?***

– პირველ რიგში, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა შოვის ტრაგედიის მსხვერპლთა ახლობლებს და მთელ საქართველოს მივუსამძიმრო. ასევე მინდა მივუსამძიმრო 2008 წლის 7-8-9 აგვისტოს დაღუპულთა ახლობლებს. 15 წელი გავიდა, მაგრამ გული არ გაცივებულა და გული ისევ ხეობისკენ მიგვიწევს. ყველა დევნილის საფიქრალი ეს არის.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, სახელმწიფო რომ შედგა, ფაქტია. 2008 წლის შემდეგ, საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ რა ფასად შედგა სახელმწიფო და რა ფასად შევინარჩუნეთ დამოუკიდებლობა, გასააზრებელია.

***– 2008 წლის ომის შედეგად, 20% ტერიტორიის დაკარგვით საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ შეიბღალა?***

– მეც ამას ვამბობ. დამატებით ამოდენა ტერიტორიები დაიკარგა. პატარა ლიახვის ხეობა, დიდი ლიახვის ხეობა, ფრონეს ხეობა, ახალგორი, თამარაშენი, იქით კოდორი და საქართველოში უამრავი ადამიანი დევნილობაში აღმოჩნდა.

ამ ომის დროს, რუსებმა აიღეს გორი, ხაშური, დასავლეთ საქართველოში ზუგდიდი, სენაკი, ფოთი და სხვა რაიონები და მთელი ქართული ტერიტორიები გაძარცვეს.

***– ამას კიდევ ახლდა რუსეთის ეკონომიკური ექსპანსია, როდესაც საქართველოს სტრატეგიული ობიექტები ნაცმოძრაობას რუსულ სახელმწიფო კომპანიებზე გადააფორმებინეს.***

– ეგ უკვე მათი ბრალია, ვინც ეგ ობიექტები მიყიდა. მე უშუალოდ ომის პერიოდზე ვსაუბრობ. თუ გახსოვთ კადრები, 9-ში თუ 10-ში (რუსები ახალგორში შესვლას რომ აპირებდნენ), ტელევიზიით გადაიცემოდა, იგოეთში რუსის ტანკები რომ მოდიოდნენ. ტანკებმა ახალგორისკენ რომ გადაუხვიეს, საქართველომ ამოისუნთქა. თბილისზე არ მოდისო, ძალოვნებმაც გაიხარეს.

ჩემი ნომერ პირველი მტერი რუსია, რუსმა დამიხოცა ყველა, რუსმა დაგვაკარგვინა ტერიტორიები და რუსი გვიშვრება ყოველივე ცუდს, მაგრამ ჩემი აზრით, იმ პერიოდში რუსეთს თბილისის აღება და მთლიანად საქართველოს ოკუპაცია გეგმაში არ ჰქონდა.

რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა, იმ ტერიტორიაზე ემოქმედა, რა ტერიტორიასაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი ერქვა. იმ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩვენს 23 სოფელს, აქეთ კოდორის ხეობის სოფლებს, ბულდოზერებით სულ მთლიანად გადაუარეს.

გორში, ხაშურში და ქარელის რაიონის სოფლებში შემოსულებმა სოფლები გაძარცვეს. ერგნეთში, ნიქოზში, მეღვრეკისსა და ტყვიავში თითო-ოროლა სახლი შერჩევით გადაწვეს, ვისზეც ჯავრი ჰქონდათ და ძლიერი მეომარი იყო. შემდეგ წავიდნენ.

რუსები თბილისზე რომ წამოსულიყვნენ, იმ ძალით, რა ძალითაც როკის გვირაბით შემოვიდნენ, თბილისის აღება ძალიან გაუჭირდებოდათ. ჩვენებმა თბილისის მიმდებარე ტერიტორიებზე პოზიციები გააძლიერეს, თბილისში რომ შემოსულიყო, რა მოხდებოდა, არავინ იცის, მაგრამ იმ ძალით გაკონტროლება გაუჭირდებოდა.

იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც უკრაინაში ხდება, ჩანს, რომ შეიძლება ქალაქი აიღო, მაგრამ მილიონიანი ქალაქის გასაკონტროლებლად 100-200 ათასი ჯარისკაცია საჭირო.

***– თან მაშინ რუსეთი ისეთი ძლიერი არ იყო, თუნდაც შეიარაღების თვალსაზრისით. აქედან წაღებული დასავლური თანამედროვე იარაღის შესწავლით, მერე გადაიარაღება მოახდინა.***

– იარაღი ჩვენთან ომის შემდეგ წაიღეს. პირველ პერიოდში ჩვენმა ჯარმა ცხინვალსა და ცხინვალის მისადგომებთან მართლა კარგად იბრძოლა. რუსი გენერალიც კი დავჭერით.

***– დიახ, ხრულოვი.***

– მეოთხე ბრიგადის ბიჭებმა კარგად იბრძოლეს. ჩვენც (ჯარსაც, ხელისუფლებასაც გინდ ეწყინოთ, გინდ – არა) 2-3 დღე რომ გაგვეძლო – გორთან რომ გავჩერებულიყავით, აქეთ მხარეს რომ გავჩერებულიყავით, აქეთ ახალგორისკენ და იქით კოდორისკენ რუსის ჯარი რომ არ გაგვეშვა, შეიძლება, მსხვერპლი მეტი იქნებოდა, მაგრამ იმ 2-3 დღეში, როდესაც სარკოზი ჩაერთო, შეიძლებოდა ომი შეეჩერებინათ.

11 აგვისტომდე პატარა ლიახვის ხეობაში ოსები არ შემოსულან. 11 აგვისტოს შემოვიდნენ ერედვში. დიდი ლიახვის ხეობაში 8 აგვისტომდე შემოვიდნენ. ცოტა მეტი გამძლეობა რომ გამოგვეჩინა, მსხვერპლი დიდი იქნებოდა, მაგრამ პატარა ლიახვის ხეობისა და ახალგორის გადარჩენა შეიძლებოდა.

იმდროინდელი პრეზიდენტი რომ ამბობს, გადავარჩინე და გადმოვარჩინეო, ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, კი, ჩვენ რუსს ვერ მოვერეოდით, მაგრამ (ჯარისკაცებს და ადგილობრივებს ყველას დიდი მადლობა. ადგილობრივები, ჩვენი ბიჭები მაშინვე შეიარაღდნენ და მაშინვე ჩაერთნენ, როგორც დიდი, ასევე პატარა ლიახვის ხეობებიდან. ყველა პოლიციასთან ერთად ვიდექით 7-ში, 8-ში და 9-ში.), ცოტა გამძლეობა მაინც უნდა გამოგვეჩინა.

ყველაზე დიდი შეცდომა ასევე ის იყო, რომ მოლაპარაკებისას 7-პუნქტიანი შეთანხმება შემოგვთავაზეს, მაგრამ ერთი პუნქტი, რომლის თანახმად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსი საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართვით უნდა განსაზღვრულიყო, ამოაგდეს. რა მიზეზით ამოაგდეს, ცნობილი არ არის.

***– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილმა ეს პუნქტი შეთანხმებიდან რატომ ამოიღო?***

– არ ვიცი. ის 7 პუნქტი რომ ყოფილიყო, ჩვენ ხომ უფრო მეტი სალაპარაკო გვექნებოდა, ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობა რატომ აღიარაო. იმ პუნქტში პირდაპირ ეწერა, რომ კონფლიქტის მოგვარება და სტატუსი საერთაშორისო ინსტიტუტების მონაწილეობით უნდა გადაწყვეტილიყო. იმ პერიოდის ყველაზე დიდ დანაშაულად ეგ მიმაჩნია.



„დღეს საქართველოს ნომერ პირველი ამოცანა ჯარის გაძლიერება და თავდაცვის საშუალებების შეძენაა. უნდა გადავიდეთ დრონების, თვითმფრინავების შეძენაზე. აუცილებელია სამხედრო-საჰაერო თავდაცვის სამსახურის შექმნა და გაძლიერება“

მე-7 პუნქტი რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა, ოკუპირებული ტერიტორიები რუსს დამოუკიდებლად მაინც ელიარებინა, ჩვენ ხომ კიდევ ერთი დოკუმენტით მეტი გვექნებოდა, რომ რუსეთმა ევროკავშირის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულება დაარღვია.

***– ნიშანდობლივი არ არის ის, რომ შეთანხმებიდან ეს პუნქტი თვითონ სააკაშვილმა ამოიღო და არა მედვედევმა?***

– სააკაშვილს ვინ დაავალა, რა დაავალა, არავინ იცის.

***– ფიქრობთ, რომ სააკაშვილს იმ პუნქტის ამოღება ვინმემ დაავალა? იგივე, ვთქვათ, მოსკოვიდან დაავალეს?***

– დაავალეს. თუმცა, ამას მხოლოდ სააკაშვილი არ წყვეტდა. პროცესში ჩართული იყვნენ ევროპა და ამერიკა. მაინცდამაინც ჩვენი სასარგებლო პუნქტი რატომ ამოიღეს.

***– მაშინ რაზე საუბრობს სააკაშვილი, როცა ამბობს, გამოჩენილი სიმტკიცით, ქვეყნის სუვერენიტეტი დავიცავითო?***

– სიმტკიცე ხალხმა გამოიჩინა, როგორც ადგილობრივმა, ასევე მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებმა მოსახლეობამ. მთელმა საქართველომ სიმტკიცე გამოიჩინა, ქვეყნის მშენებლობა გავაგრძელეთ. ამერიკიდან და ევროპიდან ოთხ მილიარდ-ნახევარი დახმარება შემოვიდა. კოტეჯების აშენება და დევნილების ჩასახლება იმ დახმარების ფულით განხორციელდა.

რუსეთთან არაფორმალური მოლაპარაკება მიმდინარეობს. იგივე კარასინი-აბაშიძის ფორმატში.

***– კარასინი-აბაშიძის ფორმატში მოლაპარაკება ფორმალურია.***

– რაც გინდა დავარქვათ, პლუს ჟენევის მოლაპარაკებებია. 78 შეხვედრა გაიმართა. ის პუნქტები, რაც მედვედევმა და სააკაშვილმა ხელი მოაწერა რუსის ჯარის გასვლაზე, ამ შეხვედრებზე პირველ საკითხად რატომ არ ისმება?

***– ვინ ასრულებს, თორემ როგორ არ ისმება?***

– გაშვება-გამოშვებაზე (ლარსზე ვინ გავა და ვინ შემოვა) კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ უნდა დაისვას საკითხი 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულების თაობაზე – რატომ არ სრულდება და რუსის ჯარი საქართველოდან რატომ არ გადის.

***– მალე დასჭირდება და საქართველოს ტერიტორიიდან ჯარს რუსეთი თვითონ გაიყვანს.***

– რეალურად, რუსეთს ჯარი ცხინვალიდან და აფხაზეთიდან ახლა ისედაც გაყვანილი ჰყავს. მხოლოდ იმდენი ჰყავთ, საოკუპაციო ხაზთან რომ გამოჩნდნენ. საოკუპაციო ზოლთან დადიან და ადამიანებს იჭერენ იმის საჩვენებლად, რომ იქაურობა არ მიუტოვებიათ.

ჩუკოტკიდან და ბურიატიიდან ჩამოჰყავთ, მოსკოვში შავგვრემანს ვისაც დაინახავენ, იჭერენ და ომში მიჰყავთ. ცხინვალშიც ბევრი დახოცილი ჰყავთ. ვლადიკავკაზში ომში დაღუპულების სასაფლაო ცალკე გაუხსნიათ. თვალს ვერ გაუწვდენ, იმხელა ტერიტორია უჭირავსო, ათასობით დახოცილი ჰყავთო.

ცხინვალში ოსებსაც 50-მდე ადამიანი ჰყავთ დახოცილი, მაგრამ ჩრდილო ოსეთიდან დიდძალი მსხვერპლი ყოფილა. მეგობარმა მითხრა, სასაფლაოებს რომ გავხედე, თვალი ვერ გავუწვდინეო.

საქართველოს რუსეთიდან საშიშროება ახლაც ემუქრება. დარწმუნებული ვარ, უკრაინა მოიგებს. უკრაინამ რომ წააგოს, ჩათვალეთ, მთელი მსოფლიო აღარ არსებობს. მეორე მსოფლიო ომი რუსმა კი არ მოიგო, 15 რესპუბლიკა ომობდა.

დასავლეთიდან საბჭოთა კავშირს ამერიკა და ინგლისი ეხმარებოდა. გერმანიას მეორე ფრონტი გაუხსნეს. მეორე მსოფლიო ომი მთელმა მსოფლიომ მოიგო.

თუ ახლა უკრაინამ წააგო (მე ვიცი, რომ არ წააგებს), მსოფლიო, დასავლეთი, ევროპა და ამერიკა აღარ ყოფილა, უკრაინამ რომ წააგოს, რუსეთი მეორე დღესვე საქართველოს ულტიმატუმს წაუყენებს და საქართველოს მიიერთებს.

ისიც საშიშია, უკრაინა რომ მოიგებს, გამწარებული კრემლის მესვეურები, თავის ხალხთან საქმე რომ გამოისწორონ, საქართველოში არ შემოვიდნენ და მთელი ქვეყანა არ მიიერთონ.

***– ანუ უკრაინა წააგებს თუ მოიგებს, ორივე შემთხვევაში საშიშროება გვემუქრება?***

– დიახ, ორივე შემთხვევაში საშიშროება არსებობს. ამიტომ დღეს საქართველოს ნომერ პირველი ამოცანა ჯარის გაძლიერება და თავდაცვის საშუალებების შეძენაა. უნდა გადავიდეთ დრონების, თვითმფრინავების შეძენაზე. აუცილებელია სამხედრო-საჰაერო თავდაცვის სამსახურის შექმნა და გაძლიერება.

# ირაკლი როსტომაშვილი: „აუცილებელია მყისიერი რეაგირება, შეიქმნას აპლიკაცია“

არქიტექტორი ირაკლი როსტომაშვილი სტიქიურ მოვლენებზე მყისიერი რეაგირების მიზნით სპეციალური აპლიკაციის შექმნის ინიციატივით გამოდის. როსტომაშვილის თქმით, მსგავსი აპლიკაციის მოდელი შეისწავლა შვეიცარიაში, სადაც აპლიკაციის მუშაობა საკმაოდ ეფექტური იყო.

ირაკლი როსტომაშვილის თქმით, ქალაქები კონკრეტულ კვადრატებად არის დაყოფილი, იქ მცხოვრებ მოქალაქეებს აქვთ მიღებული დირექტივა, სტიქიური ტრაგედიის დროს, როგორ უნდა იმოქმედონ.

– შოვის და თბილისის სტიქიების შემთხვევებში ხალხმა გაწმენდით სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა და ეს სპონტანურად მოხდა. ეს ხდებოდა უკან მიდევნებული ლამპარის პრინციპით, არადა შვეიცარიაში, ყველამ იცის თავისი ფუნქცია, როცა გამოცხადდება მსგავსი განგაში, რომელ აპლიკაციასაც ვაკეთებთ, კონკრეტული კვადრატებად, ზოლებად არის დაყოფილი ტერიტორია, სადაც მოხდება ეს, იმათ მისდით შეტყობინება და იციან, რა უნდა გააკეთონ. თუ არის შეტყობინება და მთაზე ჩამოწვა ზვავი და მოყოლილი არიან ტურისტები, ავტომატურ რეჟიმში ხდება ის, რომ აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავთ ჯიპები, კონკრეტულმა მფლობელმა იცის, რომ თუ ასეთი შეტყობინება მიუვა, უნდა მივიდეს ქალაქის „რატუშასთან“, უჯდება ექიმი, უდებენ მედიკამენტებს, – ამბობს არქიტექტორი.

# სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთი არის აგრესორი და ოკუპანტი“!



საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და აცხადებს, რომ აგრესორ და ოკუპანტ რუსეთს ომიდან 15 წლის შემდეგაც საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს.

პრეზიდენტის თქმით, საქართველო დაიცავს თავის ევროპულ გზას.

– რუსეთი არის აგრესორი და ოკუპანტი! 2008 წლის ომიდან 15 წლის შემდეგ მას კვლავ ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიის 20% და არღვევს ყველა პრინციპს.

საქართველო დაიცავს თავის ევროპულ გზას, მშვიდობიანად დაიბრუნებს ტერიტორიულ მთლიანობას და იქნება მტკიცე დესტაბილიზაციის ნებისმიერი მცდელობის წინააღმდეგ, – წერს ზურაბიშვილი „ტვიტერზე“.

# მიხეილ სააკაშვილი: „ჩემთვის, როგორც მთავარსარდლისთვის, ორმაგად მტკივნეული იყო იმის ყურება, როგორ ნადგურდებოდა თანამედროვე საქართველო“

– ჩემთვის, როგორც მთავარსარდლისთვის, ორმაგად მტკივნეული იყო იმის ყურება, თუ როგორ ესხმოდა თავს რუსული არმია მშვიდობიან მოსახლეობას! როგორ ნადგურდებოდა თანამედროვე საქართველო, მაგრამ ისევე, როგორც ყველა ქართველს, დღემდე მაძლიერებს იმ გმირი ბიჭების თავდადება და შემართება, რომლებმაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს, რითაც 2008 წლის აგვისტოს ომს ეხმაურება.

როგორც ის აღნიშნავს, აგვისტოს ომი იყო ტრაგედია, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში.

– გადამწვარი სახლები და დაბომბილი ქალაქები, გაუბედურებული ოჯახები და ობლად დარჩენილი ბავშვები – აგვისტოს ომი იყო ტრაგედია, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში.

ჩემთვის, როგორც მთავარსარდლისთვის, ორმაგად მტკივნეული იყო იმის ყურება თუ როგორ ესხმოდა თავს რუსული არმია მშვიდობიან მოსახლეობას! როგორ ნადგურდებოდა თანამედროვე საქართველო, მაგრამ ისევე, როგორც ყველა ქართველს, დღემდე მაძლიერებს იმ გმირი ბიჭების თავდადება და შემართება, რომლებმაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს, ასჯერ უფრო დიდი მტრის წინააღმდეგ!

მათი სახელების უკვდავსაყოფად შემოვიღეთ ტრადიცია – მოგონების ყაყაჩო. სიმბოლურად, გმირების სისხლით შეფერილი ლამაზი ქვეყანა, რომელიც განადგურებას გადავარჩინეთ, – წერს სააკაშვილი.

2023, 9 აგვისტო, №155

# რუსეთს თავისი ძალების საქართველოდან გაყვანისკენ ოფიციალურმა თბილისმაც მოუწოდა

მარიამ მჭედლიშვილი

**ცხინვალის რეგიონში რუსეთის შეჭრის 15 წლისთავის საკითხზე ბევრი კომენტარი გაკეთდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე — გარეთ. საქართველოში გააქტიურებულ და მომრავლებულ ანტიდასავლელებს ამ საკითხზე ყველაზე ნაკლები სალაპარაკო ჰქონდათ.**
**2008 წლის სრულმასშტაბიან სამხედრო ინტერვენციას გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მან განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების უგულებელყოფით აგრძელებს საქართველოს განუყოფელი რეგიონების ოკუპაციას.**








– რუსეთის ფედერაცია არ ასრულებს ევროკავშირის შუამავლობით დადებულ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, აფართოებს საკუთარ უკანონო კონტროლს ოკუპირებულ რეგიონებში და სხვადასხვა ქმედებით, მათ შორის, ხელოვნური ბარიერების აღმართვით, კონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვით, უკანონო დაკავებებით და სხვა, დარტყმას აყენებს ადგილზე არსებულ ისედაც რთულ უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ გარემოს, – აღნიშნა საგარეო სამინისტრომ.

საგარეო უწყებამ მოუწოდა რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს ევროკავშირის წინაშე 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები და გაიყვანოს თავისი ძალები საქართველოს ტერიტორიიდან.

## ვინ მიიჩნევს თავს ოკუპირებულად რუსეთის ფედერაციაში?

ხებს რადიო „თავისუფლების" კავკასიურ ბიუროში აფასებენ ექსპერტები და აქტივისტები.

❖ ❖ ❖

### კრემლს ოკუპანტად რუსეთის ფედერაციის სუბიექტებიც მიიჩნევენ

როგორც ცნობილია, რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გააქტიურდნენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები, რომლებიც თავს კრემლის მიერ ოკუპირებულად და კოლონიზირებულად მიიჩნევენ.

მათი მისწრაფებები რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოში მცხოვრები აფხაზებისა და ოსების საპირისპიროა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში რუსეთის საწინააღმდეგო განწყობები არსებობს. აფხაზები ამაზე მკაფიოდ საუბარს ერიდებიან.

„პოსტრუსეთის თავისუფალ ხალხთა ფორუმის" ბოლო შეკრება ახლახან იაპონიაში გაიმართა. შეკრებაზე განსაკუთრებული აქტიურობით ჩრდილოკავკასიელები გამოირჩნენ. კრემლისგან გამოყოფის სურვილი დააფიქსირეს ყუბანელებმაც (ფაქტობრივად, რუსებმა).

ტოკიოში მიღებული დეკლარაცია მოუწოდებს ქვეყნებს თანამშრომლობისკენ „რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების დეკოლონიზაციისა და დეიმპერიალიზაციის მიზნით".

დეკლარაციაში ოკუპირებულად მოხსენიებულია კურილიის კუნძულებიც და ხაზგასმულია კურილიის კუნძულების პრობლემის მშვიდობიანად მოწესრიგების აუცილებლობა.

ფორუმს და დეკოლონიზაციის საკით-

❖ ❖ ❖

### რუსეთს დაღესტანი და ჩეჩნეთი გამოეყოფიან?

პოლიტოლოგ ივან პრეობრაჟენსკის აეჭვებს, რომ ფორუმებზე გახმოვანებული რადიკალური იდეები ემთხვევა მოსახლეობის მოთხოვნებს. მისი აზრით, ფორუმებზე მარტო აქტივისტები კი არა, ექსპერტებიც უნდა გამოდიოდნენ. მსჯელობა პოსტრუსეთზე უნდა მიმდინარეობდეს პროფესიულ სივრცეში.




პრეობრაჟენსკის დასკვნით, სამხრეთ რეგიონებიდან გამოყოფის მოთხოვნა შეიძლება გაჩნდეს დაღესტანში. მისი თქმით, ეს ახალგაზრდა მრავალენოვანი ერია, რომელიც თავს რუსად არ მიიჩნევს. ასევე ბევრი რუსი დარწმუნებულია, რომ დაღესტანი რუსეთის ნაწილს არ წარმოადგენს. სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 41% მიიჩნევს, რომ დაღესტანი „რუსეთის რესპუბლიკაა".

პოლიტოლოგის ინფორმაციით, ჩეჩნეთს რუსეთის რესპუბლიკად მიიჩნევს გამოკითხულთა სულ 39%.

– ეს ფაქტორი საკმარისია იმისათვის, რომ ხსენებული რესპუბლიკები გახდნენ სეპარატიზმის ცენტრები. ჩეჩნეთი დე-ფაქტო ამჟამადაც არ წარმოადგენს რუსეთის ნაწილს თუნდაც იმის გამო, რომ აქ არ მოქმედებს რუსეთის კანონები. ამ ტერიტორიას აკონტროლებს დიქტატორი, რომლის ძალაუფლება ემყარება კრემლთან კავშირს.

ნოღაელთა მოძრაობის წარმომადგენელი ანვარ კურმანაკაევი აღნიშნავს, რომ ასეთი ფორუმების მიზანია, მსოფლიოს გააცნოს, რომ მოსკოვმა მოახდინა ძირძველი ხალხების ოკუპაცია. ფორუმის ერთ-ერთი წარმატებაა ის, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე აღიარა რუსეთის შემადგენლობაში ეროვნული უმცირესობების ძალადობრივი კოლონიზაცია.

❖ ❖ ❖

### „ხალხმა პოსტპუტინური რუსეთის ვარიანტებზე უნდა ილაპარაკოს"

– ფორუმის ორგანიზატორები უნდა გადავიდნენ აზრების ურთიერთგაცვლაზე რუსეთში მცხოვრებლებთან. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობამ იცის, რომ ომი უკრაინაში პუტინის რეჟიმისთვის ტრიუმფალურად არ დამთავრდება. ქვეყნისათვის მძიმე შედეგების მინიმიზირება შესაძლებელია. საჭიროა ალტერნატიულ ვარიანტებზე საუბარი, – ამბობს უკრაინელი პოლიტოლოგი მიხაილ სავა.

მისი თქმით, რუსეთის დაშლა პუტინის ოპოზიციასაც არ აწყობს. ამიტომ ფორუმის გზავნილი უნდა გახდეს აზრების გაცვლა მომავალზე.

ჩერქეზთა მოძრაობის ხელმძღვანელი იბრაგიმ იაგანოვი ამბობს:

– ფორუმის ორგანიზატორები ჯერჯერობით მსოფლიოს წინაშე „გადამთიელების" ჩივილის დემონსტრირებას ახდენენ და არაფერს აკეთებენ სიტუაციის შესაცვლელად. ეს არის ეროვნული მოძრაობების ღია დისკრედიტაცია. ეს ხელსაყრელია იმ რუსი ოპოზიციონერებისთვის, რომლებსაც უნდათ პუტინის ჩანაცვლება, მისი ადგილის დაკავება იმავე იმპერიაში.

საზოგადოება

# პოლიციელი ამბობს, რომ უკრაინის მოქალაქემ მას მონა დაუძახა, თუმცა არ იცის, რა ენაზე




ანტისაოკუპაციო აქცია ბათუმის პორტთან – ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაკავებულების სასამართლო პროცესი გაიმართა. „ბათუმელების" ინფორმაციით, დღევანდელ სხდომაზე ჩვენება მისცა ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელმაც განმარტა, რატომ დააკავეს უკრაინის მოქალაქე. სასამართლოში უკრაინის მოქალაქის მარინა ჩობანიანის ინტერესებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი იცავს.

– პოლიციელი ამბობდა, მონა გვიწოდა ქალბატონმა მარინამო, თუმცაღა ვერ თქვა, რა ფორმით უწოდა მონა. ქართულ ენაზე ის მონას ვერ უწოდებდა, იმიტომ, რომ ქართული არ იცის. ვერ განმარტა, რუსულად როგორ შეეძლო ეწოდებინა, რომ მონა იყო რომელიმე პოლიციელი, – ამბობს თამარ წულუკიძე.

წულუკიძის თქმით, დაკავების დროს პოლიციელს უკრაინის მოქალაქისთვის მისი უფლებები არ განუმარტავს, თანაც საია-ს აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი ამბობს, რომ პოლიციელმა, ვინც მარინა ჩობანიანი დააკავა, რუსული ენა არ იცის.

– კომუნიკაციაში ვერ შედიოდა როგორც საჭირო იყო. იმ მუხლებისთვის, რომელსაც იყენებენ მარინასთან მიმართებაში, აუცილებელია სახეზე იყოს პოლიციელის მხრიდან მოწოდება, რომ კონკრეტული მოქმედება შეზღუდოს [მოქალაქემ] და აღარ განახორციელოს. პოლიციელმა არ იცოდა რუსული ენა, შესაბამისად, ის ვერ მოუწოდებდა [მარინა ჩობანიანს], რომ მოქმედება შეეწყვიტა, – ამბობს წულუკიძე.

ბათუმის პორტში მიმდინარე საპროტესტო აქციაზე, 31 ივლისს უკრაინის მოქალაქე ქალი დააკავეს. მას ამ კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევას ედავებიან – წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა.

# FSB-ს Yandex-ის ქართველი მომხმარებლის მონაცემზე მუდმივი წვდომა ექნება




FSB-ს მუდმივი და სრული წვდომა ექნება რუსული კომპანია „იანდექსის" ბაზებზე, მათ შორის საქართველოდან დარეგისტრირებულ მომხმარებლების მონაცემებზეც.

ინფორმაცია, რომელსაც FSB Yandex-დან მიიღებს, ეხება ისეთ მონაცემებს, როგორიცაა ტაქსის მომხმარებლის სახელი და გვარი, მისი საბანკო ინფორმაცია, ლოკაცია, „ლაიქები", წვდომა სატელეფონო კონტაქტებზე. ამ დრომდე ამ მონაცემებზე FSB-ს წვდომა არ ჰქონია.

# „11.778 სტიქიური უბედურება, 2 მლნ-ზე მეტი დაღუპული და 4,3 ტრლნ დოლარის ეკონომიკური ზარალი"




**მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) ახალი მაჩვენებლის თანახმად, ექსტრემალურმა ამინდმა, კლიმატმა და წყალთან დაკავშირებულმა მოვლენებმა 1970-დან 2021 წლამდე 11.778 სტიქიური უბედურება გამოიწვია, რომლის დროსაც 2 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ხოლო გლობალურ ეკონომიკას 4,3 ტრლნ დოლარის ზარალი მიადგა. მონაცემებიWMO-ს ოფიციალურ ვებგვერდზე ვრცელდება.**

მხოლოდ 2020 და 2021 წლებში სტიქიური უბედურებით გამოწვეული სიკვდილიანობის სულ 22.608 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც, WMO-ს დასკვნით, წინა ათწლეულის საშუალო წლიურ მაჩვენებელთან შედარებით, სიკვდილიანობის შემდგომ შემცირებაზე მიუთითებს. თუმცა გაიზარდა ეკონომიკური ზარალი, რომლის უმეტესობაც ქარიშხლის კატეგორიას მიეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული ანგარიშით, რომელიც 1970-2019 წლების პერიოდს ეხებოდა, ეკონომიკური ზარალი 3 ტრლნ ევროზე მეტს შეადგენდა. ამჯერად WMO შენიშნავს, რომ, მართალია, ეკონომიკური ზარალი გაიზარდა, მაგრამ გაფრთხილების გაუმჯობესებულმა ადრეულმა სისტემებმა, სტიქიური კატასტროფების მართვის კოორდინირებულმა მენეჯმენტმა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ადამიანთა მსხვერპლი შეამცირა. სტიქიური უბედურებების შედეგად მსოფლიოში დაფიქსირებული სიკვდილიანობის 90%-ზე მეტი განვითარებად ქვეყნებში მოხდა.

51 წლის განმავლობაში მხოლოდ აშშ-მა 1,7 ტრლნ დოლარის ზარალი განიცადა, რაც მსოფლიო ეკონომიკური ზარალის 39%-ს შეადგენს. ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა და მცირე კუნძულოვანმა განვითარებადმა სახელმწიფოებმა, მათი ეკონომიკის ღირებულებასთან შედარებით, არაპროპორციულად მაღალი ზარალი განიცადეს.

სტიქიური მოვლენების შედეგები რეგიონების მიხედვით 1970-დან 2021 წლამდე:

აფრიკა – 1.839 სტიქიური უბედურება; დაიღუპა 733.585 ადამიანი, რომლის 95% გვალვას ემსხვერპლა. ეკონომიკური ზარალი 43 მლრდ დოლარი.

აზია – 3.612 სტიქიური კატასტროფა; 984.263 დაღუპული ადამიანი, რამაც მსოფლიოში დაღუპულთა საერთო რაოდენობის 47% შეადგინა. სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი ტროპიკული ციკლონები იყო. ეკონომიკურმა ზარალმა 1,4 ტრლნ დოლარი შეადგინა. აზიაში დაღუპულთა ყველაზე მეტი რიცხვით ბანგლადეში გამოირჩევა, სადაც 281 მოვლენას 520 758 ადამიანი ემსხვერპლა.

სამხრეთ ამერიკა – 943 სტიქიური უბედურება, რომელთაგან 61% წყალდიდობაა. დაიღუპა 58.484 ადამიანი, ხოლო ეკონომიკურმა ზარალმა 115,2 მლრდ დოლარი შეადგინა.

ჩრდილოეთ ამერიკა, ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი – 2.107 სტიქიური მოვლენა. დაიღუპა 77.454 ადამიანი; ეკონომიკური ზარალი 2.0 ტრლნ დოლარია, რაც მსოფლიო ეკონომიკური ზარალის 46% შეადგენს. უმეტესი ნაწილი ქარიშხალთან დაკავშირებულ კატასტროფებს, კერძოდ, ტროპიკულ ციკლონებს მიეკუთვნება.

სამხრეთ-დასავლეთ წყნარი ოკეანე – 1.493 სტიქიური კატასტროფა; დაიღუპა 66.951 ადამიანი. სიკვდილის მთავარი მიზეზი ტროპიკული ციკლონები იყო. ეკონომიკური ზარალი 185,8 მლრდ დოლარი.

ევროპა – 1.784 სტიქიური უბედურება. დაიღუპა 166.492 ადამიანი, რაც მსოფლიოში დაღუპულთა 8%-ს შეადგენდა. სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი ექსტრემალური ტემპერატურა იყო. ეკონომიკური ზარალი 562.0 მლრდ დოლარს შეადგენს, რისი მთავარი მიზეზიც წყალდიდობებია.

WMO-მ ახალი დასკვნა მსოფლიო მეტეოროლოგიური მე-19 კონგრესისთვის გამოსცა, რომელიც 22 მაისი – 2 ივნისის პერიოდში გაიმართა. კონგრესი ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება.

# მიხეილ სარჯველაძე: „არ მგონია, დაუყოვნებლივ რეაგირებას ადამიანების ბედზე გავლენა ჰქონოდა“



– არ მგონია, დაუყოვნებლივ რეაგირებას ადამიანების ბედზე გავლენა ჰქონოდა, – ეს განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ შოვის სტიქიაზე საუბრისას გააკეთა.

რაც შეეხება სამაშველო ღონისძიებას, დეპუტატის თქმით, ყველა ის მოქალაქე გადარჩა, ვინც „მასამ არ დაფარა“.

– ვინც იქ უშუალოდ არ დაფარულა, ყველა გადარჩა და არც ერთი ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მაგალითად, რამდენიმე საათის დაგვიანებით აღმოჩენილიყო დაღუპული, – ამბობს სარჯველაძე.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ სტიქიიდან მეხუთე დღეს კვლავ ოპონენტები გააკრიტიკა და „პოლიტიკური დებატებისთვის ახალი ასპარეზის გახსნაში“ დაადანაშაულა.

– თავისი მასშტაბით მართლაც არნახული სტიქია და ტრაგედიაა. რეზულტატები, რომელიც ადამიანური ტრაგედიების სახით გვაქვს, შეუძლებელია ვინმეს გულგრილს ტოვებდეს. ეს არის ძალიან დიდი დრამა და მთელი საქართველოს ტრაგედია, თუმცა ძალიან სამწუხარო და გულსატკენია, რომ პოლიტიკოსები იცლიან და ძალას პოულობენ, რომ აქცენტი პოლიტიკურ საკითხებზე გააკეთონ. ნაცვლად იმისა, რომ პირველივე წუთებიდან ტრაგედიის განცდის ემოცია ყოფილიყო, მომენტალურად საკითხს ცივად მიუდგნენ და შოვის ტრაგედიის გამოყენებით პოლიტიკური დებატებისთვის ახალი ასპარეზი გახსნეს. კალაძის ოჯახის წამოსვლასთან დაკავშირებით თვითონაც გადასარევად ფლობდნენ ინფორმაციას, თუ რა მოხდა, მაგრამ სანამ კონკრეტული კადრები არ დაიდო, სტრატეგია არ შეცვალეს.

იგივე შემიძლია ვთქვა ვერტმფრენების ისტორიასთან დაკავშირებით. ვინმემ რაიმე ფუნქცია თქვას, რისი შესრულებაც ვერტმფრენს შეეძლო და ვერტმფრენის არქონის გამო ვერ შესრულდა.

იგივე შემიძლია ვთქვა უცხოეთისგან შემოთავაზებულ დახმარებაზე და ჰუმანიტარული მოტივაციით წამოყენებულ ინიციატივებზე. ოპოზიციამ სცადა მომხდარი ტრაგედია საკუთარი პოლიტიკური გეგმების განხორციელების ინსტრუმენტად ექცია, რაც ამორალური საქციელია.

არც ერთი ისეთი რეკომენდებული აქტივობა არ არსებობს, რომელიც ან დაგვიანდა, ან არ განხორციელდა ან არასათანადო რესურსით განხორციელდა. ყველაფერი იყო უზრუნველყოფილი, რასაც კი შეეძლო სტიქიის შედეგების მინიმიზირება და ადამიანების გადარჩენა.

რაც შეეხება დეტექციის სისტემას, ამასთან დაკავშირებით ბევრი დეზინფორმაცია მოვისმინეთ – არავითარი მეცნიერული დასაბუთება არ გააჩნია იმ სპეკულაციურ ვერსიებს, რომლითაც ხელისუფლების დადანაშაულებას ცდილობენ.

მასშტაბი, ტრაგიკული გარემოებების დამთხვევა განაპირობებს დასკვნას, რომ წინასწარი პროგნოზირება, რასაც საფრთხის თავიდან აცილება შეეძლო, ობიექტურად შეუძლებელი იყო, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

# „სწორი ინსტრუქტაჟის შემთხვევაში, მოსახლეობას უსაფრთხო ადგილზე გადასვლა 4 წუთში შეეძლო“



ტრაგედია შოვში – გეოლოგი ლაშა სუხიშვილი „ტვ პირველთან“ პირდაპირ ამბობს, რომ სწორი ინსტრუქტაჟის შემთხვევაში, მოქალაქეებს უსაფრთხო ადგილზე გადასვლა 4 წუთში შეეძლოთ.

ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტებში სპეციალური გადამზადების მქონე დარგის პროფესიონალები არ არიან, შესაბამისად, მოსახლეობა სტიქიასთან მარტო დარჩა.

შოვი არ არის დიდი დასახლება, საკმაოდ პატარა ფართობზეა გაშენებული და 8-10 წუთში თავისუფლად შეუძლია ადამიანს, თუ ის პანიკაში არ ჩავარდება და ზუსტად იცის, როგორ მოიქცეს, მშვიდი სიარულით მივიდეს უსაფრთხო ზონამდე, მაგრამ ეს თვითონ არ უნდა განსაზღვროს.

– შოვის ყველაზე შორი წერტილიდან, 4-5 წუთის განმავლობაში შეუძლია მას უსაფრთხო შეკრების ადგილზე მივიდეს. ეს დრო მაშინ არ იქნება საკმარისი, თუ ადამიანმა არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს. იქნება დაბნევის, პანიკის მომენტი, – განაცხადა გეოლოგმა.

ცნობისთვის, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს პირველად დასკვნაში წერია, რომ „სტიქია მყისიერად განვითარდა, მისი პროგნოზირება შეუძლებელი იყო, მიწის ჩამოშლა კი კომპლექსური სტიქიური მოვლენების გამო მოხდა“.

ამ დოკუმენტის მიხედვითაც კი მოსახლეობას 8-10 წუთი ჰქონდა ტრაგედიის ეპიცენტრის დასატოვებლად – „სტიქიის ჩასახვა-გააქტიურების ზონიდან, შოვის ე.წ. კოტეჯების უბნამდე ღვარცოფულ ნაკადს წინასწარი გათვლებით უნდა მიეღწია სავარაუდოდ 8-10 წუთში“.

ირკვევა, რომ შოვში, უბრალოდ გამაფრთხილებელი სისტემა არ არსებობდა, რომელიც განგაშის სიგნალს დროულად ჩართავდა.

გარემოს დაცვის მინისტრის მტკიცებით, „შოვში სტიქია იმდენად სწრაფად განვითარდა, იქ ადრეული გაფრთხილების სისტემა რომც ყოფილიყო დამონტაჟებული, შეიძლებოდა, შედეგი ვერ გამოეღო“.

# იზრდება ტყის ხანძრების რისკი — საგანგებო სამსახური მოსახლეობას აფრთხილებს



იზრდება ტყის ხანძრების რისკი – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოსახლეობას აფრთხილებს.

უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მიმდინარე კვირის განმავლობაში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მატება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური გაცნობებთ, რომ მიმდინარე კვირის განმავლობაში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მატება. რა დროსაც განსაკუთრებით იზრდება ტყის ხანძრების რისკი.

ხანძრის კერის ან დაკვამლიანების შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დარეკეთ 112-ში.

აღნიშნული ინფორმაციის შემცველი მოკლეტექსტური შეტყობინება დაეგზავნებათ მოქალაქეებს.

# ანა დოლიძე შოვში მომხდარზე პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს



ანა დოლიძე შოვში მომხდარზე პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს

შოვში დატრიალებული ტრაგედიის ფაქტზე პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი ანა დოლიძე ითხოვს. განცხადება ანა დოლიძემ პარლამენტთან გააკეთა და დეპუტატებს მიმართა.

– კანონმდებლობით ოპოზიციას აქვს საშუალება, ეს საგამოძიებო კომისია შექმნას და ასევე, თუ ეს ოპოზიცია არ შექმნის, შემდეგ პარლამენტში, სადაც აუცილებლად ვიქნებით, ჩვენ შევქმნით და ამ პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებთ.

შოვის შემთხვევა ორ ნაწილად იყოფა – კონკრეტული პასუხისმგებლობა კოტეჯებთან დაკავშირებით, სამშენებლო ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით და სისტემური პოლიტიკური პასუხისმგებლობაც. ერთი შემთხვევით ჩვენ სისტემას ვერ შევცვლით. ვაკის პარკის ტრაგედიაზე დაიჭირეს ის ხალხი, მაგრამ ეს არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. გაუმართავი და კორუმპირებული სისტემა ადგილზეა. ჩვენ უნდა მივადგეთ, გამოვასწოროთ სისტემა, რომელიც იზრუნებს ეკოლოგიურ სამართლიანობაზე და იმაზე, რომ კლიმატური ცვლილებების პირობებში საქართველო თავის სიტყვას იტყვის და ესენი უბრალოდ მხრებს არ აიჩეჩავენ. საგამოძიებო კომისია დააყენებს პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხს და მას შეისწავლის, – განაცხადა ანა დოლიძემ.

# ანი კეკუა: „რამდენი ზაფხულის გვეშინოდეს?“



კითხულობს მომღერალი ანი კეკუა და დასმულ შეკითხვას პასუხსაც თავად სცემს:

– რამდენი ზაფხულის გვეშინოდეს?

ომის, ბათუმში ჩამონგრეული სახლების, თბილისში ახალ გზაზე სტიქიის, ახლა შოვის საშინელების, შადრევნებში დენის დარტყმის, სკოლებში საქმეების გარჩევის, ახალგაზრდების ჩხუბის დროს მკვლელობებით, ახალგაზრდების ნარკოტიკებზე წვდომით და ამ სახით მკვლელობით თუ ახალგაზრდებში სუიციდის მაჩვენებლის გაზრდით საქართველოში? მანიაკების მიერ ახალგაზრდების მკვლელობების, ვილაცების გატაცების.

რამდენის? რამდენის?

რა ხდება? რამე მოიმოქმედეთ, აღარ შეგვიძლია! გამოასწორეთ სოციალური ფონი!

აღარავინ დაგრჩებათ ამ ქვეყანაში. ახალგაზრდა არ დაგრჩებათ, ყველა გარბის! დიდიან-პატარიანად. ამით მაინც ვერ ხვდებით, რომ რაღაც არასწორად მიდის?

გმირობებს ვაიძულებთ რიგით ადამიანებს, ვის სიცოცხლესაც ასევე უნდა ვუფრთხილდებოდეთ. რატომ? რა უფლებით აიძულებთ? როდემდე უნდა დადიოდეს რიგით ადამიანებზე ეს პასუხისმგებლობა?

გვეყოს ადამიანებზე გმირობის ვალდებულების დაკისრება! ესეც მკვლელობაა! ვაიძულებთ, რომ თავი მოიკლას, რისკის ქვეშ დადგეს. როცა 21-ე საუკუნეა! ტექნოლოგიების აღზევების ხანა და ჩვენ სად ვბანაობთ?!

ყველამ აკეთოს თავისი საქმე ამ ქვეყანაში! რა ვერ გაიგეთ? ასე რომ მოიქცეთ, მსგავსი პრობლემები არ იქნება! გაიგეთ ახლა მაინც!

თუ არ გესმით და ვერ ხართ შესაბამისი განათლების, აცადეთ იმას, ვისაც აქვს და შეუძლია გვიშველოს!

მარტივია.

მარათონიო და სიმღერით შევაგროვოთ ფულიო, პირველ რიგში, ვისი გაუთვალისწინებლობით თუ შემთხვევით, თუ რაც გინდათ დაარქვით, მოხდა, იმან ინამუსოს და იმან თავისი საქმე აკეთოს ახლა მაინც და თავი გაანებოს უხელფასო მომღერლების ხარჯზე გამართლებას.

სხვა ფორმით გახსენით ანგარიში და ჩავრიცხავთ, როგორც ყოველთვის, ჩუმად და შეძლებისდაგვარად.

რა სიმღერა? რის სიმღერა? ვის უნდა ვუმღერო, შვილმკვდარ დედას? შვილი დავუბრუნო? თუ ფული ვაჩუქო?

ვის რაში სჭირდება აწი უკვე რამე დახმარება?

იქამდე დავიცვათ და იქამდე გავაკეთოთ პრევენცია, მაშინ ხარ ძლიერი და მაგარი, როცა ეს შეგიძლია, აბა ახლა თავების გამოსაჩენად რა ტრიპაჩობაა სიმღერა?! არავინ მომართოს მარათონის თუ რაღაც სისულელეებში მონაწილეობის მისაღებად. გული მაქვს გასკდომაზე.

ამ ქვეყანაში საქველმოქმედო კონცერტები როცა აღარ იქნება, იცოდეთ, მაშინ ეშველა ქვეყანას!

ზუსტად, როგორც საქმეში მეკითხებიან ხოლმე და უკვირთ, ყველა შესაძლო შემთხვევას რატომ განიხილავ და რატომ უშვებ და განვსაზღვრავ, იმიტომ, რომ სანამ რამე დაზიანდება და გაფუჭდება, იქამდე უნდა განსაზღვრო, გადაიზღვიო, მაშინ ხარ მაგარი, როცა იქამდე საზღვრავ ყველა ან უმრავლეს შესაძლო რისკს! იმიტომ, რომ რაღაც მაინც დარჩება და გამოჩნდება, ამიტომ მაქსიმალურად უნდა განსაზღვრო, რომ ნაკლებად ცუდი შედეგი დადგეს.

ყველა საქმეში ასეა, ექიმებშიც ასეა, ხშირად სწორი მიდგომაა, ნაკლებად ზიანის მიყენების რისკების განსაზღვრა, ასე რომ აკეთებდეს ყველა, მსგავსი შედეგები არ იარსებებს! აი ამიტომ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## სამართალი

# ფოთში, ზღვაში ორი მოზარდი დაიხრჩო

ფოთში, ზღვაში ორი მოზარდი დაიხრჩო. ინფორმაციას „რუსთავი 2“ ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, მოზარდები ზღვაში საბანაოდ შევიდნენ და გაუჩინარდნენ.

ერთ-ერთი მოზარდის ცხედარი უკვე იპოვეს. ამ წუთებში მიმდინარეობს მეორე მოზარდის სამძებრო სამუშაოები. ადგილზე საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადაა მობილიზებული.

# მტკვარში 60 წლამდე კაცის ცხედარი იპოვეს

ტრაგედია ბორჯომში – სოფელ ჩითახევში, მდინარე მტკვარში 60 წლამდე კაცის ცხედარი იპოვეს.

ცხედარი თვითმხილველებმა მტკვრის პირას არსებული საჯომარდო ბანაკიდან შენიშნეს და 112-ს შეატყობინეს.

კაცის ცხედარი ამოცნობილია, ის ადგილობრივს ეკუთვნის.

გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

# დაკავებულია ნათია ბახტაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი



გალის მკვიდრს, ნათია ბახტაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილს, აინარ ცვიჟბას ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ამის შესახებ გალის რაიონის პროკურორმა ალხას ოთირბამ განაცხადა.

გოგონას ცხედრის ძებნა გრძელდება. ჩართული არიან ნავები, სამართალდამცავები, ადგილობრივი მცხოვრებლები, კინოლოგები, იუწყება GalMedia.

ნათია ბახტაძე მუშაობდა გალის საშუალო სკოლაში, ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. ის 28 ივლისს გაუჩინარდა. 31 ივლისს დედამისმა იამზე აგუმავამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა პოსტი დახმარების თხოვნით და მიმართა აფხაზეთის ლიდერს ასლან ბჟანიას, ომბუდსმენს ანას ქიშმარიას, დეპუტატს ტიმურ შერგელიას და აფხაზეთის მოქალაქეებს.

2 აგვისტოს ცნობილი გახდა ეჭვმიტანილი აინარ ცვიჟბას დაკავების შესახებ. მან მკვლელობა აღიარა. მისი თქმით, მან გოგონა 28 ივლისს მოკლა ლექსუსის ავტომობილის სალონში, ხოლო ცხედარი მდინარე ენგურზე, მესამე პერეპადნაიას ჰიდროელექტროსადგურში გადააგდო.

განზრახ მკვლელობის მუხლი, რომლითაც საქმე აღიძრა, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე.

2023, 9 აგვისტო, №155

# ზელენსკი უკრაინელთა კონტრშეტევის შესახებ

უკრაინული არმიის კონტრშეტევა გრძელდება. მიუხედავად მტრის რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობისა, უკრაინელები შეტევას განაგრძობენ. უკრაინელი ჯარისკაცების შეჩერება უკვე აღარც დანაღმულ სტეპებს შეუძლიათ და არც მძაფრ საავიაციო ცეცხლს.



ამერიკელების დახმარება უკრაინას ძლიერ წაადგა. ამერიკული პეტრიოტების დახმარებით რუსული რაკეტების დიდი ნაწილის ჩამოგდება მოხერხდა. ამერიკული ჭურვებით გაძლიერებულმა უკრაინულმა არტილერიამ კი დანაღმულ ველებზე უკრაინელ მეომრებს გზები გაუხსნა. უმთავრესი კი, რა თქმა უნდა, უკრაინელთა ვაჟკაცობა და თავდადებაა. მათ ოკუპანტებს უკვე წარმოუდგენელი ზარალი მიაყენეს.

თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, ციფრობრივად ეს შემდეგნაირად გამოიყურება: ტანკი – 4.244, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 8.270, არტილერია – 4.977, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები – 467, თვითმფრინავები – 315. განადგურებულია 250.640 ოკუპანტი.

საერთოდ მიღებულია, რომ მხარე, რომელიც შეტევაზე გადადის, უფრო მეტ ჯარისკაცს კარგავს, ვიდრე ის, ვინც თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებს. რუსეთ-უკრაინის ომში საპირისპირო სურათი გვაქვს. უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ანა მალიარის ცნობით, რუსების დანაკარგები უკრაინელებისას 10-ჯერ აღემატება. ამას გარდა, უკრაინელებმა რიგი ტერიტორიების გათავისუფლებაც შეძლეს. ამისი ნათელი დადასტურებაა ნოვომაიორსკიდან ოკუპანტების განდევნა. წარმატებული ოპერაციები ჩატარდა ბახმუტის ფლანგებზე, ავდეევკასთან, მარინკასთან, ზაპოროჟიეს ოლქის დასავლეთ ნაწილში. უკრაინელებმა კიდევ უფრო შეავიწროვეს რუსები ხერსონის ოლქში.

უკრაინის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ ოკუპანტები ამას არ მოელოდნენ. რუს ჯარისკაცებშიც უკვე შეუიარაღებელი თვალით დაინახავთ შიშს.

ვლადიმერ ზელენსკის უკრაინის დეოკუპაციის საკითხში მოსახლეობის ფართო ფენების (მინიმუმ 88%) მხარდაჭერა აქვს. უკრაინული არმიაც ომს განაგრძობს სრულ გამარჯვებამდე.

# აშშ-მ უკრაინას ახალი ტრანში გამოუყო

აშშ გამოაცხადებს უკრაინისათვის ახალი დახმარების გადაცემის შესახებ. ამის თაობაზე იუწყება რეიტერის სააგენტო.



– უკრაინას ახალი მრავალმილიარდიანი ტრანში გამოეყო, – ნათქვამია შეტყობინებაში.

# უთანხმოება რუსეთ-ჩინეთს შორის

საუდის არაბეთში გაიმართა რუსეთ-ჩინეთის წარმომადგენელთა შეხვედრა აქ ნათლად გამოიკვეთა უთანხმოება მოსკოვსა და პეკინს შორის, რაც ძირითადად რუსეთ– უკრაინის ომს შეეხება,

გაზეთ „ფაინენშელ ტაიმსის“ ცნობით, ჩინელები წინ აღუდგნენ პუტინის ე.წ. „სამშვიდობო“ ფორმულას. ისინი თვლიან, რომ აღნიშნული ფორმულა უვარგისია და მშვიდობის დამყარებას ხელს არ უწყობს.

# დარტყმა პოკროვსკზე





რუსმა ოკუპანტებმა ქალაქ პოკროვსკზე (დონეცკის ოლქი) სარაკეტო დარტყმა განახორციელეს. შედეგად დაიღუპა 7 ადამიანი, 88 დაიჭრა.

პოკროვსკში გამოცხადებულია გლოვა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# კურიერმა 350 ათასის აიფონები ნაგავში გადაყარა

ჩინეთის პროვინცია ხენანის მცხოვრებმა, გვარად ჩაიმ და მისმა უმცროსმა ძმამ 30 დაკარგული სმარტფონი iPhone 14 Pro იპოვა, კურიერს დაუბრუნა და ის სამსახურის დაკარგვას გადაარჩინა.

გოგონას ძმამ ახალი ტელეფონები ნაგვის ბუნკერში იპოვა, როდესაც ნაგავს ყრიდა. ამის შესახებ მაშინვე დას შეატყობინა. ძმასთან ერთად ჩაიმ ნაგვის ბუნკერი საგულდაგულოდ დაათვალიერა და საერთო ჯამში 30 სმარტფონი იპოვა. გოგონამ მაშინვე პოლიცია გამოიძახა.

მომხდარის გამოძიებისას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა კიდევ ერთი აიფონი სხვა ნაგვის ბუნკერში იპოვეს. მათ სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ნახეს და დაადგინეს, რომ სმარტფონები კურიერს, გვარად ლიუს ეკუთვნოდა. მამაკაცი ამანათებს აფასოებდა, რა დროსაც ხუთი მათგანი ბუნკერის სახურავზე დაალაგა. თითოეულში ათ ცალი სმარტფონი იდო. მათი საერთო ღირებულება 350 ათას იუანს შეადგენდა, შემდეგ კურიერმა ყველა ამანათი ჩაალაგა, ხოლო ნაგვის ბუნკერის სახურავზე შემოდებულები კი დაავიწყდა.

ორი საათის შემდეგ კოლოფები დამლაგებელმა წაიღო. სამართალდამცავებმა ქალი მოძებნეს, რომელმაც განაცხადა, რომ ტელეფონები გადაყარა, ხოლო კოლოფები მიითვისა, რათა შემდეგ ისინი გაეყიდა. მოგვიანებით სამართალდამცავებმა კიდევ შვიდი სმარტფონი იპოვეს, ხოლო კიდევ ოთხი ცალი მას შემდეგ იპოვეს, როდესაც საკურიერო სამსახურმა გამოაკრა განცხადება იმის თაობაზე, რომ ნაგვის ბუნკერებთან სმარტფონები დაიკარგა.

საბოლოოდ ყველა სმარტფონი საკურიერო სამსახურს დაუბრუნდა. ამ დროისთვის დაკარგული 50 სმარტფონიდან 48 აიფონი ნაპოვნია. თავად კურიერის მტკიცებით, ის მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში ვერ აცნობიერებდა, რომ სმარტფონები დაკარგა, ხოლო როდესაც ამას მიხვდა, ძალიან შეშინდა. მისი აღიარებით, ის ვერასოდეს იშოვიდა იმდენ თანხას, რომ ეს ზარალი აენაზღაურებინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



# მოზარდმა პლაჟზე ათი მილიონი წლის კბილი იპოვა

13 წლის ბრიტანელმა მოზარდმა ესექსის საგრაფოს ქალაქ უოლტონ-ნა-ნეიზეს პლაჟზე ისტორიამდელი ზღვის არსების მეგალოდონის კბილი იპოვა.

ბენ ევანსმა გაქვავებული 15 სანტიმეტრის სიგრძის კბილი მამასთან, 50 წლის ჯეისონ ევანსთან ერთად 30 ივლისს დილაადრიან იპოვა.

– კბილი პატარა ორმოში ეგდო, ხოლო გარშემო სამი დიდი ქვა იდო. იძულებული გავხდი, მათ შორის დარჩენილ ღრიჭოში გავმძვრალიყავი, მას რომ მივწვდომოდი. ის იქ უბრალოდ ეგდო. მაშინვე მივხვდი, რომ მეგალოდონის კბილი იყო, – ამტკიცებს მოზარდი.

ოჯახმა ნაპოვნი კბილი ესექსის ველური ბუნების ფონდში მიიტანა, სადაც დაადგინეს, რომ ის დაახლოებით ათი მილიონი წლის იყო.

## სპორტი

# მორაგბეთა ნაკრები დასკვნით შეკრებას იწყებს

მსოფლიო რაგბის ახალ რეიტინგში საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრები და ჯგუფში მისი მეტოქეები ერთმანეთის მეზობლად არიან. ავსტრალია მე-8 ადგილზეა; მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებს კვალდაკვალ მიყვებიან – უელსი (9), ფიჯი (10) და საქართველო (11). გამონაკლისი მხოლოდ პორტუგალიაა, რომელიც მე-15 ადგილზეა.



ამასობაში ლევან მაისაშვილის გუნდი ერთკვირიანი შესვენების შემდეგ შევარდენის სანაკრებო ბაზაზე დაბრუნდა და მსოფლიოს თასისთვის მზადების ბოლო ეტაპზე გადავიდა.

მესამე ეტაპზე სამი ტესტ მატჩია დაგეგმილი: 12 აგვისტოს ჩვენი გუნდი რუმინეთს დაუხვდება; 19 აგვისტოს აშშ-ს ეთამაშება;

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდებმა ერთმანეთში თამაში უკვე მოასწრეს და ამერიკელებმა 31:17 მოიგეს.

ბოლო ტესტს „ბორჯღალოსნები“ 26 აგვისტოს შოტლანდიას ესტუმრებიან და ედინბურგში ითამაშებენ, რის შემდეგ გეზს საფრანგეთისკენ აიღებენ, სადაც მსოფლიო თასი გაიმართება.

დასკვნით შეკრებაზე შესული საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

**შერკინება:** ნიკა აბულაძე, გურამ გოგიჩაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჭყოიძე, თენგიზ ზამთარაძე, ლუკა ნიორაძე, ბექა გიგაშვილი, გურამ პაპიძე, ლუკა ჯაფარიძე, კოტე მიქაუტაძე, ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, ლადო ჩაჩანიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, ბექა სალინაძე, ბექა გორგაძე, გიორგი ცუცქირიძე, თორნიკე ჯალაღონია, ოთარ გიორგაძე, მიხეილ გაჩეჩილაძე, ლუკა ივანიშვილი;

**ხაზი:** ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, თენგიზ პერანიძე, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, ლუკა მატკავა, მერაბ შარიქაძე, თორნიკე კახოიძე, დემურ თაფლაძე, გიორგი კვესელაძე, აკაკი ტაბუცაძე, ალექსანდრე თოდუა, მირიან მოდებაძე, ოთარ ლაშხი, დავით ნინიაშვილი, ლაშა ხმალაძე, ლუკა ხორბალაძე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კალეიდოსკოპი

# თავი მისიონერად გაასაღა და 30 მილიონი დოლარი მიითვისა





ამერიკის ჯორჯიის შტატის მკვიდრმა, რომელიც თავს მისიონერად ასაღებდა, 30 მილიონი დოლარი მიითვისა და ეს თანხა ბრილიანტებსა და აზარტულ თამაშებში დახარჯა.

45 წლის ჯეისონ ჯერალდ შენკი თავს მისიონერად ასაღებდა. მან ღვთისმსახურის სახით შემოწირულობა მიიღო ოჰაიოს და ჩრდილოეთ კაროლინას შტატებში კერძო პირებისა და ჯგუფებისგან. შემომწირველები თვლიდნენ, რომ თანხა ბიბლიის და სხვა რელიგიური ლიტერატურის შეძენას მოხმარდებოდა, რომელიც შემდეგ ჩინეთში უნდა გაგზავნილიყო.

მამაკაცს თაღლითობის ოთხ ეპიზოდში და ფულის გათეთრების 37 ეპიზოდში ედება ბრალი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის შემოწირულობით მიღებული ფულით ყიდულობდა ბრილიანტებს და ოქროს. ასევე ხარჯავდა აზარტულ თამაშებში. მან მილიონი დოლარი ონლაინ-კაზინოში დახარჯა.

2016 წელს შენკმა აშშ-ის მოქალაქეობაზე უარი თქვა და მასზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

# ყველის საწარმოს მფლობელი პარმეზანმა იმსხვერპლა

იტალიაში ყველის მწარმოებელი საწარმოს მფლობელს პარმეზანის ყველის თავები დაეცა და დაიღუპა.

74 წლის მეწარმე კიაპარინი ლომბარდიის ქალაქ ბერგამოში მდებარე მის საკუთარ საწყობში ყველის თავების ზვავში მოჰყვა. ტრაგიკული ინციდენტის მიზეზი თაროს ჩამომტვრევა გახდა. ჩამოვარდნილმა ყველის თავმა დომინოს ეფექტი შექმნა და ათეულობით სხვა თაროს ჩამოშლა გამოიწვია. ამ თაროებზე ათასობით პარმეზანის თავები იყო განთავსებული, ისინი მეწარმეს ზევიდან დაეყარა და ქვეშ მოიყოლა.



შემთხვევის ადგილზე გამოძახებით მისულ მაშველებს ყველის ზვავის ხელით გაწმენდა მოუწიათ. მეხანძრე ანტონიო დუსის თქმით, სამაშველო სამძებრო ოპერაცია 12 საათი გრძელდებოდა. ყველას იმედი ჰქონდა, რომ კიაპარინი შესაძლოა გადარჩენილიყო, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ პარმეზანის ყველის ყოველი თავის წონა დაახლოებით 40 კილოგრამს შეადგენს. მეწარმე კი ათასობით ასეთი ყველის ქვეშ აღმოჩნდა.

საწყობში დაახლოებით 25 ათასი თავი ყველი ინახებოდა, ხოლო თაროების სიმაღლე 10 მეტრს შეადგენდა. პოლიციის ინფორმაციით, თაროს ჩამომტვრევა იმ დროს მოხდა, როდესაც კიაპარინი ყველის სიმწიფეს ამოწმებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## განცხადებები

• ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

• ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

• მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# საქართველოს კარგი ჯგუფი შეხვდა

2025 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა და საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვა.

ილიას ზუროსის გუნდი ჯ ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად სერბეთი, ფინეთი და დანია ეყოლება.

ფორმატიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრებს ევროპირველობაზე მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეს. საქმე ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას სულ 24 ნაკრები მიიღებს. მათგან 4 საგზური უკვე დაკავებულია – კვიპროსი, ლატვია, ფინეთი და პოლონეთი მასპინძლები არიან.





ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფიდან სამი ნაკრები გადის. თუ რომელიმე მასპინძელი ამ სამეულში არ მოხვდა, მაშინ ჯგუფიდან გავა ორი საუკეთესო. თუმცა, ჩვენს ჯგუფში არის დანია, რომელსაც სამეულში მოხვედრა უნდა გაუჭირდეს. ესეც რბილად ნათქვამია...

ევრობასკეტის საკვალიფიკაციო მატჩების ჩატარების თარიღები ცნობილია. როგორც აქამდე, საკვალიფიკაციო ციკლი 3 ფანჯარაზე გადანაწილდება: პირველი ფანჯარა 2024 წლის 19-დან 27 თებერვლის ჩათვლით გაიმართება და მის ფარგლებში გუნდები 2-2 მატჩს ითამაშებენ. მეორე ფანჯრის თამაშები 2024 წლის 18-26 ნოემბერს ჩატარდება, ხოლო მესამე ფანჯარა 2025 წლის 17-25 თებერვალს არის დაგეგმილი.

**სვეტისლავ პეშიჩი, სერბეთის ნაკრების მწვრთნელი:**

– ამ დროისთვის მთელი კონცენტრაცია მსოფლიოს ჩემპიონატზე გვაქვს. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფს, ორი უმთავრესი მეტოქე გვეყოლება: საქართველო და ფინეთი ხომ მომავალ მსოფლიოს პირველობაზეც ითამაშებენ. ეს ნაკრებები დიდი ტურნირების ფავორიტებად არ მიიჩნევიან, თუმცა, მათგან დიდ წინააღმდეგობას უნდა ველოდეთ. ახლა, შანსებზე საუბარი რთულია, მიზანი კი ნათელია – ევრობასკეტზე გასვლა. როგორც გასულმა წლებმა გამოაჩინა, ეს იოლი ნამდვილად არ იქნება. პირველი თამაშები გაისად თებერვალში გველის და ნამდვილად არ ვიცი, როგორი შემადგენლობა გვეყოლება. როდესაც კალენდარი დადგინდება, ყველა მატჩისთვის საგანგებოდ უნდა მოვემზადოთ.

**ლასი ტუოვი, ფინეთის ნაკრების მწვრთნელი:**

– მეტოქეებად ევროპული კალათბურთის გრანდი სერბეთი, ყოველთვის სახიფათო საქართველო და დანია გვერგო, რომელსაც გასულ ევროპის ჩემპიონატზე გასვლამდე ერთადერთი მოგება დააკლდა. სერბეთი ყველა ტურნირზე ფავორიტთა შორისაა, საქართველოს კი ნბა-სა და ევროლიგის მოთამაშეებთან ერთად არაერთი სასახელო გამარჯვება მოუპოვებია. როგორც მოსალოდნელი იყო, კონკურენტუნარიანი ჯგუფი შეგვხვდა. ერთბაშად 3 ნაკრები ვართ, რომლებიც მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებთ და არც დანია უნდა დაგვავიწყდეს. ისინი ძალიან ახლოს იყვნენ იმასთან, რომ ლიეტუვა შოკში ჩაეგდოთ და წინა ევრობასკეტზე ეთამაშათ. გასული წლების განმავლობაში სერბეთსა და საქართველოს არაერთხელ შევხვედრილვართ და ეს მათთან მატჩებს დამატებით ინტრიგას სძენს. მიუხედავად იმისა, რომ ფინალურ ეტაპზე უკვე გასულები ვართ, ამ თამაშებში მოტივაცია ნამდვილად არ დაგვაკლდება.

# თორნიკე შენგელია: „კიდევ ერთი ოცნება მაქვს – მოვხვდეთ ოლიმპიადაზე"

საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. გუნდთან ერთად არის კაპიტანი თორნიკე შენგელიაც.



რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩვენი გუნდი ევროპული ყურადღების ცენტრშია და ეს შენგელიას დამსახურებაც არის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მასთან ინტერვიუ ევროპულ მედიაში გამოქვეყნდა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ამბობს, რომ ერთი ოცნება უკვე აიხდინა და ახლა კიდევ მეორეზე ფიქრობ. თუმცა, სხვადასხვა საინტერესო თემებზეც საუბრობს.

**თორნიკე შენგელია:**

– მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში ტრავმა მივიღე და ამის გამო ევროპის ჩემპიონატი გამოვტოვე. თუმცა, სარეაბილიტაციო პერიოდის გასვლის შემდეგ, გადამწყვეტი მატჩები მოვიგეთ და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ. ეს ჩემი, როგორც ნაკრების კაპიტნის, ერთ-ერთი კარიერული ოცნება იყო. ამას უკვე მივაღწიეთ და ახლა კიდევ ერთი ოცნება მაქვს – მოვხვდეთ ოლიმპიადაზე. აქამდე არასდროს გვითამაშია ოლიმპიადის შესარჩევში, ახლა კი გვეძლევა შანსი, წარმოვაჩინოთ თავი და წარმატებას მივაღწიოთ. ეს შესაძლებლობაა და ვალდებული ვართ, გამოვიყენოთ.

ჯგუფში სამი ერთმანეთისგან განსხვავებულ მეტოქე გვყავს: არის ვენესუელა, შედარებით ტანდაბალი, მაგრამ ფიზიკურად ძალიან ძლიერი და აგრესიული მოთამაშეებით, რომლებიც მეტოქეს წნეხში მთელ მოედანზე, მთელი თამაშის განმავლობაში აქცევენ. აქ არის კაპო ვერდე, ედი ტავარეშთან ერთად. მნიშვნელობა არ აქვს, სად და ვისთან თამაშობს, ედი თამაშს ცვლის. ეს არაერთხელ გვინახავს. გვყავს მაღალი მოთამაშეები, მაგრამ მის შესაჩერებლად საშუალებას უნდა მივაგნოთ. ჩვენს საიდუმლოებებს არ გავამხელ. შემდეგი ლუკა დონჩიჩის სლოვენიაა. აქ სხვა საფიქრალი გვაქვს – მისცე ლუკას 50 ქულის ჩაგდების საშუალება და თამაშიდან სხვები გამოთიშო, თუ პირიქით. არის ბევრი ნიუანსი და სიტუაცია, რომლების გამოყენებაც შეიძლება. სამწვრთნელო შტაბი დიდ სამუშაოს ჩაატარებს. კალათბურთელებმა კი საკუთარი ძლიერი მხარეები უნდა გავიაზროთ და გამოვიყენოთ. ჩემთვის, როგორც ლიდერისთვის, მნიშვნელოვანია, მოთამაშეთა შესაძლებლობები გავაფართოვო, გამოვავლინო მათი ძლიერი მხარეები და შევურჩიო სწორი პოზიციები, რათა პოტენციალი სრულებით გამოავლინონ. წინ ერთი თვეა და ვფიქრობ, ჩამოვყალიბდებით. სიმართლე გითხრათ, ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი...

შენგელიამ იმაზეც ისაუბრა, რაც მის ტრანსფერებს შეეხებოდა – სერბული ცრვენა ზვეზდა და ბერძნული პანათინაიკოსი ჩვენებურის გადაბირებით იყვნენ დაინტერესებულნი.

– დეტალებს არ მოვყვები, მაგრამ ვიტყვი, რომ გუნდებისგან ინტერესი ნამდვილად იყო და ეს ნორმალურია. მაგრამ ჩვენს დროში ბევრი ჭორი ვრცელდება და ზოგჯერ საკუთარ თავზე ისეთ რამესაც გაიგებ, რაც არ გაგიკეთებია. ამბობდნენ, თითქოს ოფიციალური შეთანხმება დავდე. ტყუილია, თითქოს რაღაც ქაღალდებსა თუ კონტრაქტებზე ხელი მოვაწერე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა მნიშვნელობა აქვს იმას, დავთანხმდი თუ არა ტრანსფერს, როდესაც ვირტუსთან ხელშეკრულება მაკავშირებდა. როდესაც კონტრაქტის მქონე მოთამაშით სხვა გუნდი ინტერესდება, სამივე მხარე უნდა შეთანხმდეს. ტრანსფერი მხოლოდ ამ შემთხვევაში შედგება.

შენგელიამ ნბა-ში გატარებულ პერიოდსა და ამჟამად იმ მოთამაშე ქართველებზეც ისაუბრა.

– გოგა და სანდრო ძალიან ნიჭიერი მოთამაშეები არიან. ბითაძეს საკმაო გამოცდილება დაუგროვდა, შეუძლია ბურთის ტარება, სროლა და დაფარება. კარგია დაცვაში. მას თითქმის ყველაფერი აქვს და ჯერ სულ 24 წლისაა, გამოცდილებასთან ერთად კი კიდევ უკეთესი გახდება. მამუ? ღმერთო ჩემო, როგორი უნარები აქვს! აქვს სროლა, ბურთის ფლობა, ათლეტიზმი და დაცვა. ნბა-ში მნიშვნელოვანია შესაფერისი გუნდი და შესაფერისი დრო. თუკი ისინი შესაფერის გუნდში შანსს მიიღებენ, დარწმუნებული ვარ, ერთი-ორი წლის შემდეგ სასტარტო მოთამაშეები იქნებიან. გოგას შემთხვევაში ეს ახლავე შეიძლება მოხდეს.

შენგელიამ საკუთარ მომავალზეც ისაუბრა.

– დღეს შორს ვარ იმ აზრისგან, რომ კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში ჩავერთო. ჩემი მენტალიტეტიდან გამომდინარე, მსურს, შემდგომშიც კალათბურთში დავრჩე, მთელი ამ წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, ცოდნა და კავშირები გამოვიყენო ახალგაზრდა თაობის დასახმარებლად. ეს არის ჩემი მთავარი მიზანი. მსურს, დავეხმარო ჩემს სამშობლოს, რითაც შემიძლია და ამის გაკეთება სპორტში შემიძლია. არასდროს უნდა თქვა არასდროს, მაგრამ ჯერჯერობით სამომავლოდ არც სამწვრთნელო საქმიანობით დაკავებაზე ვფიქრობ. მსურს საქართველოში აკადემია გავხსნა, რათა შევუქმნა ახალგაზრდა მოთამაშეებს განვითარებისთვის პირობები.

# შუქურას ქულები დავალიანების გამო დააკლეს

საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ქობულეთის შუქურას 6 ქულა დააკლეს. მიზეზი სახელფასო დავალიანებაა.

ქობულეთურ კლუბში პრობლემები რომ იყო, ადრეც ვწერდით. ერთია, შუქურამ ფეხბურთელების დავალიანებები გაისტუმრა, მაგრამ ჯერ ძველი მწვრთნელების დავალიანებები დარჩა და ვერდიქტმაც არ დააყოვნა.

გარდა ამისა, შუქურას აკრძალული აქვს ტრანსფერების განხორციელება და ახალი ფეხბურთელების დამატებას ვერ ახერხებს.





ბათუმის დინამოსთან (0:5) მატჩში ქობულეთელთა სათადარიგო სკამზე ის ახალგაზრდა ფეხბურთელები ისხდნენ, რომლებიც მანამდე დუბლშემადგენლობაში თამაშობდნენ.

შედეგიც სახეზეა...

# გორის დილას სავარაუდო მეტოქე ცნობილია

შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფა-ს შტაბბინაში კონფერენციის ლიგის ფლეი ოფის წილისყრა გაიმართა, სადაც ევროტურნირებს შემორჩენილი ერთადერთი ქართული კლუბის, გორის დილას სავარაუდო მეტოქე გაირკვა.

თუ დილამ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია, ფლეი ოფში, ჯგუფურ ეტაპზე შესასვლელად ბელგიურ გენტსა და პოლონურ პოგონს შორის გამარჯვებულს ეთამაშება.

შეგახსენებთ, დილამ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვაკური დუნაისკა სტრედა დაამარცხა (1:2, 2:0), მეორეში კი – უკრაინულ ვორსკლა (1:2, 3:1).

დემჩენკოს გუნდი მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს კვიპროსულ აპოელთან, 10 აგვისტოს, დინამო არენაზე გამართავს, საპასუხო შეხვედრას კი 17 აგვისტოს, უკვე სტუმრად გამართავს.

გორის სტადიონი უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და დილა თბილისში ითამაშებს.

ქართული კლუბებიდან კონფერენს ლიგას ერთი გუნდი შემორჩა – გორის დილა. უკვე ცნობილია ქართველთა მორიგი მეტოქეც და ეს კვიპროსული აპოელია, სადაც ორი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს – ლაშა დვალი და გიორგი ქვილითაია.

ცნობილია ისიც, რომ 10 აგვისტოს, დილასა და აპოელის მატჩი თბილისში, დინამო არენაზე გაიმართება.

ერთი ცუდი ისაა რომ დილა საკუთარ ქალაქში ვერ ითამაშებს. საქმე ის არის, რომ თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი მესამე ეტაპისთვის საჭირო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და თბილისში თამაში ამის გამო უწევს.

მატჩი 10 აგვისტოს გაიმართება და 21:00 საათზე დაიწყება, ხოლო საპასუხო შეხვედრა, 17 აგვისტოს, კვიპროსში ჩატარდება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა უნივერსიადაზე მესამე ადგილი დაიკავა



ჩინეთში გამართულ მსოფლიოს 31-ე საუნივერსიტეტო თამაშებზე საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ისტორიაში პირველად ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა.

მე-3 ადგილისთვის მატჩში ქართველმა წყალბურთელებმა, რომლებიც ძირითადად ჩვენი ეროვნული გუნდის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, ამერიკა 12:7 დაამარცხეს.

პირველი მეოთხედი საქართველოს ნაკრებმა 3:1 მოიგო, მეორეში უკეთ ითამაშა და დიდი შესვენების წინ ანგარიში 6:1 იყო. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. დარჩენილ დროში სხვაობა აღარ შეცვლილა.

ჩემპიონი იტალია გახდა, რომელმაც ფინალში უნგრეთს 13:11 მოუგო. გეტყვით, რომ ჩვენი ნაკრები ნახევარფინალში სწორედ იტალიასთან (10:11) დამარცხდა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ლუდის გამონახარში, დანალექი; 2. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 3. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 6. რევაზ ლაღიძის ოპერა; 7. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 11. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 12. მთავრობის წევრთა ერთობლიობა ზოგიერთ ქვეყანაში; 13. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 16. ტრაგედია „ოტელოს" პერსონაჟი; 18. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 19. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 21. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 24. სპორტული შეჯიბრების არბიტრი.

**თარაზულად:** 1. უბანი ძველ თბილისში; 3. პოპულარული ქართული ხალხური სიმღერა; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 9. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე, რომლის საშუალებითაც გემები მდინარის ერთი დონიდან გადაჰყავთ მეორეში; 14. სააფთიაქო წონის ერთეული; 15. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 17. რომის პაპის ბრძანებულება; 20. თეატრალური პრემია საქართველოში; 22. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 23. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 25. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 26. ფულის ერთეული საქართველოში; 27. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 28. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გილდია; 2. გუნო; 3. რევოკაცია; 4. კიური; 5. დარჯაკი; 8. დიზელი; 9. დემაგოგია; 12. ბაიათი; 14. რეიმსი; 16. ომეგა.

**თარაზულად:** 1. გარპაგონი; 6. გეორგიკა; 7. ლონდონი; 9. დიჟონი; 10. ჯიდა; 11. ბენზემა; 13. ბერნი; 15. შაპიტო; 17. ვალონია; 18. საირმე; 19. ვოლსკი; 20. ჯანაოზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოკი; 2. ოდა; 3. კატალოგი; 4. პო; 5. ბირთვისი; 6. შატო; 7. ფარღული; 10. ბელი; 11. ჩოჩიშვილი; 12. პარიტეტი; 13. მუტი; 16. მართვე; 18. ლვეზელი; 19. სკივრი; 21. გოგრა; 24. რუმბა.

**თარაზულად:** 1. კარასკო; 3. კანაპე; 8. აილამა; 9. კები; 14. ფლორა; 15. ყულევი; 17. რენო; 20. გუშაგი; 22. სევრი; 23. კატერი; 25. ჩაი; 26. თორი; 27. აზია; 28. მაკლარენი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

9 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6136 |
| ევრო | 2.8642 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.3245 |
| 100 რუსული რუბლი | 2.7253 |

## ამინდის პროგნოზი 9 აგვისტოსთვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნეიმარს პსჟ-დან წასვლა სურს



ნეიმარს პსჟ-დან წასვლა სურს და მან შესაძლოა უახლოეს მომავალში გუნდი დატოვოს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეიმარი შესაძლოა ბარსელონაში დაბრუნდეს, თუმცა ხავის მისი ნახვა თავისი გუნდის რიგებში ნაკლებად სურს. ხავის აზრით, ნეიმარი გუნდში სიტუაციას არევს. ნეიმარი პსჟ-ში გადასვლამდე სწორედ ბარსელონას ღირსებას იცავდა და პარიზულ გუნდს ის 2017 წელს შეუერთდა.

## ხავი: „ბარსელონას მეორე ადგილი არასოდეს დააკმაყოფილებს“

ბარსელონას მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა განაცხადა, რომ მის გუნდს არც ერთ ტურნირში მეორე ადგილი არ დააკმაყოფილებს და ისინი ყველა ტურნირში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. ხავის აზრით, მის გუნდს ამის გაკეთება შეუძლია:

– ჩვენ ბარსელონა ვართ და როდესაც მეუბნებიან, თუ რა მიზნები გვაქვს, ყოველთვის ვამბობ, რომ ჩვენ ყველა ტურნირში მხოლოდ პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

## მიკელ არტეტა: „არსენალს ჩემპიონობა შეუძლია“



არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ თავისი გუნდის პერსპექტივებზე ილაპარაკა და თქვა, არსენალს შეუძლია ინგლისის ჩემპიონატის მოგება, თუმცა ყველაფერი მათზე არ იქნება დამოკიდებული:

– არსენალი ერთ-ერთი საუკეთესოა ინგლისის ჩემპიონატში და ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონობა, თუმცა კარგად გვესმის, რომ ამისთვის იღბალიც ჩვენს მხარეს უნდა იყოს და სწორედ ეს დაგვაკლდა შარშან.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გიორგი გიგაშვილმა შოპენის ფესტივალზე გამოსვლა შოუს ტრაგედიას მიუძღვნა



პიანისტმა გიორგი გიგაშვილმა მონაწილეობა მიიღო შოპენის საერთაშორისო ფესტივალში, სადაც კომპოზიტორის მეორე სონატა დაუკრა:

– არ ვიცი, ამ დროს რამდენად სწორია ამას ვაზიარებდე, მაგრამ დავუკარი შოპენის ფესტივალზე და შოპენის მეორე სონატა ნამდვილად მიეძღვნა შოუში დატრიალებული ტრაგედიის დროს დაღუპულ ადამიანებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## მამაკაცს შეცდომით 367 ხელფასი ჩაურიცხეს და მან მის დაბრუნებაზე უარი განაცხადა

უნგრეთის ქალაქ კაპოშვარის მკვიდრს მისმა ყოფილმა დამსაქმებელმა შეცდომით 367 ხელფასი ჩაურიცხა, მან კი თანხის დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

მამაკაცმა კომპანიაში გამოსაცდელი ვადა ვერ გაიარა და ის გაათავისუფლეს. მისთვის 92,5 ათასი ფორინტი უნდა გადაეხადათ, მაგრამ შეცდომით 92,5 ათასი ევრო ჩაურიცხეს.

აღნიშნული შეცდომა იმის გამო მოხდა, რომ მამაკაცმა ავსტრიის ბანკის ანგარიში წარადგინა და ამიტომ მისთვის ხელფასი ევროებში უნდა გადაეხადათ. იმის მაგივრად, რომ ფორინტები ევროზე გადაეანგარიშებინათ, ყოფილ თანამშრომელს მთელი თანხა ევროებში გადაურიცხეს.

კომპანიაში სწრაფად მიხვდნენ შეცდომას და მამაკაცს ფულის დაბრუნება მოსთხოვეს, რაზეც მან პასუხად განაცხადა, რომ მას ავსტრიულ ბანკზე ხელი აღარ მიუწვდებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მან 15,5 ათასი ევრო ბანკომატის გამოყენებით მოხსნა ანგარიშიდან და სხვა ანგარიშზე გადაიტანა.

კაპოშვარის პროკურატურის დახმარებით კომპანიამ არშემდგარი თანამშრომლის ავსტრიული ანგარიშის გაყინვა და თანხის ნაწილის საკუთარ ანგარიშზე გადმოტანა მოახერხა. ამ დროისთვის კომპანიამ 72 ათასი ევროს დაბრუნება შეძლო, თუმცა მთელი თანხის დაბრუნების იმედი აქვს.

მამაკაცს სხვისი თანხის უკანონოდ მითვისების ბრალდება წაუყენეს და მას სოლიდური ჯარიმა ემუქრება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი

ქალი ელიტურ ბუტიკში შევიდა. გამყიდველი მიმართავს:

– გამარჯობა! ნება მომეცით, ჩვენი ახალი კოლექცია წარმოგიდგინოთ. ეს ექსკლუზივია! და, უკაცრავად, მომიტევეთ და ფული გაქვთ?

– არა...

– მერე, აქ რას შემოეხეტეთ, ბაზრობაზე ვერ წახვედით?!

– პლასტიკური ბარათი მაქვს.

– მაშინ, ისევ გამარჯობა...

●●●

პატარა გოგონა დედას ეკითხება:

– დედიკო, მგელმა რატომ შეჭამა ბებია და არა წითელქუდა?

– დაიძინე, დაიძინე! ალბათ, გამხმარი ხორცი ერჩივნა!

●●●

კაცს ტყეში გზა აებნა და ყვირილი მორთო:

– აუუუ!

ამ დროს დათვი შეხვდა და ეკითხება:

– რას ყვირი?

– გზა ამებნა და ვიფიქრე, ვინმეს გავაგონებდი ჩემს ხმას.

– კარგი, გავიგე, მერე, მოგეშვა გულზე?

●●●

სიდედრები და სიძეები ერთმანეთს რომ ეგუებოდნენ, ადამიანები მთელ პლანეტაზე არ განსახლდებოდნენ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– საინტერესოა, თუ ადამიანები მაიმუნებისგან წარმოიშვნენ, მაშინ დედამიწაზე ამდენი მაიმუნი რატომაა დარჩენილი?

– სწორედ იგივე შეკითხვა დამისვა გუშინ ჩემმა ძაღლმა, ოღონდ, მგლებთან მიმართებით!

●●●

ალკოჰოლი გამოსავალი კი არ არის, არამედ საოცარი ფერებისა და თავშეუკავებელი მხიარულების სამყაროში შესასვლელია.

●●●

ბავშვმა მასწავლებელს დედის წერილი გადასცა, რომელშიც წერია:

– პატივცემულო მასწავლებელო, გთხოვთ, ჩემს შვილს საშინაო დავალებად აღარ მისცეთ ისეთი ამოცანა, სადაც წერია, რომ ერთი ბოთლი არაყი მხოლოდ სამი ლარი ღირს, თორემ ჩემი ქმარი მთელი ღამე დაძინებას ვერ ახერხებდა და დაუსრულებლად გაიძახოდა: „ნუთუ ასეთი ბედნიერი დროც არსებობდა?“

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ეროვნულ ბიბლიოთეკაში გიორგი ანწუხელიძის კედელი გაიხსნა




ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გიორგი ანწუხელიძის კედელი გაიხსნა.

**გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:**

– ეროვნული ბიბლიოთეკის დამოუკიდებლობის დარბაზში გიორგი ანწუხელიძის კედელი გავხსენით გმირის ოჯახის წევრებთან ერთად, რომელსაც მალე ჩვენი ოსტატი თენგო გააფორმებს.

## აჩიკო ნიჟარაძე საქველმოქმედო გადაცემის მოწყობის ინიციატივით გამოდის



მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე შოუში დატრიალებული ტრაგედიის დროს დაზარალებულთა დასახმარებლად საქველმოქმედო გადაცემის გაკეთების ინიციატივით გამოდის:

– შეიძლება ამის დრო არ არის, მაგრამ იქნება ერთი კვირის მერე მაინც რომელიმე ტელევიზიამ აიღოს თავის თავზე და პირდაპირ ეთერში გაკეთდეს საქველმოქმედო გადაცემა, სადაც მეც და ჩემი კოლეგებიც მივიღებთ მონაწილეობას და მოსახლეობასთან ერთად შევაგროვებთ თანხას დაზარალებულების დასახმარებლად. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერთად დგომით დიდ დახმარებას გავუწევთ ჩვენივე ხალხს ამ მძიმე წუთებში.

## ნინი შერმადინი საუკეთესო 15-ეულშია



მომღერალი ნინი შერმადინი ამერიკაში გამართულ ავტორ-შემსრულებელთა კონკურსში მონაწილეობს, სადაც კონკურსანტთა შორის ტოპ 20-ეულში დასახელდა, ახლა კი საუკეთესო 15 მონაწილეს შორისაა:

– მერიდება, ჩემი სიხარული გამოვხატო იმის ფონზე, რაც რაჭაში ხდება. უბრალოდ, ვიცი, ბევრი ელოდებოდით სიახლეს, გადავედი თუ არა ტოპ 15-ში. დიახ, გადავედი. მხოლოდ და მხოლოდ თქვენი წყალობით! მიყვარხართ და არ ვიცი, რა სიტყვებით გამოვხატო თქვენდამი მადლიერება. ხმის მიცემა გრძელდება ტოპ-10-ის გამოსავლენად 7 დღის განმავლობაში.

## რუსკა ქარქაშაძე: „ბოლო დღეებია ყველაფერი გაუფასურდა“



ასე მიაჩნია მსახიობსა და ტელეწამყვანს რუსკა ქარქაშაძეს:

– ეს ბოლო დღეებია ყველაფერი გაუფასურდა, უფერული გახდა, უაზრო.

თითქოს ღმერთმა და სამყარომ კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა, რა არის მართლა მნიშვნელოვანი და აუცილებელი იმისთვის, რომ როგორც ადამიანები შევდგეთ ამ ცხოვრებაში.

ფული? კარიერა? წარმატება? კარგი ნიშნები უნივერსიტეტში? დაწინაურება სამსახურში? კარგი ტანსაცმელი? პირველ ადგილზე გასვლა? ინსტაგრამზე ბევრი მოწონება? თუ მაინც რა?

აი, ასეთი დღეების შემდეგ კი უფრო ნათელი ხდება, რომ ეს ყველაფერი შეიძლება აი, ამ წამსაც კი დასრულდეს, გაქრეს ისე, თითქოს არც არსებობდა.

მეტი სიყვარული, სიყვარული მეგობრებო!

ოღონდ, ხვალ არა! ოღონდ, არ შევიმჩნევ, არა! ოღონდ მიყვარს, მაგრამ პირველი არ ვეტყვი, არა!

უთხარი რომ გიყვარს, გენატრება, ჩაეხუტე, სიკეთე გააკეთე, დაეხმარე, გაეცი, მოუსმინე, მოეფერე, აკოცე!

ყველაფერი გენიალური ხომ ძალიან მარტივია სინამდვილეში.

ოღონდ გახსოვდეს, რომ „ხვალ“ შეიძლება არ იყოს. დღეს, დღეს, დღეს შემოუშვი შენში ღმერთი და სიყვარული და ყველაფერი კარგად იქნება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. დაუდუღარი ყურძნის წვენი; 2. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული წარმოშობის ხალხი; 9. ქალაქი იმერეთში; 12. მთიელგუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 14. ხურდა ფულის, მონეტების წარმოებაში გამოყენებული დაბალი ხარისხის ვერცხლი; 16. უილიამ შექსპირის ტრაგედია.

**თარაზულად:** 1. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 6. რთულის შეცვლა მარტივით; 7. სიკო დოლიძის კინოკომედია; 9. კომბინაცია პოკერში; 10. გერმანიის ნაკრებისა და „ბავარიის“ ფეხბურთელი; 11. კუთხე საქართველოში; 13. მდინარე რომში; 15. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 17. უფროსი მწყემსი; 18. გერმანიაში მოღვაწე კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი მამაკაცი; 19. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 20. პორტუგალიის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

